დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვერა ბენიძე, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;
წევრები: ანნა ბედენაშვილი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;
ელენე მიდელაშვილი -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ხარისხის ექსპერტი;
მინდია მაცაბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების ხარისხის ექსპერტი;
ნათია კილაძე - უცხოური ენების ხარისხის ექსპერტი;
დავით კიკაბიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის ხარისხის ექსპერტი;
გიორგი ჩაჩუა-ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის ხარისხის ექსპერტი;
ილონა აკობია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ჯგუფის ხარისხის ექსპერტი;
ირმა შველიძე -მათემატიკის საგნობრივი ჯგუფის ხარისხის ექსპერტი;
ქეთევან ბორაშვილი- სპორტისა და ფიზიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის ხარისხის ექსპერტი;
ნატო ხაჭაპურიძე -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჯგუფის ხარისხის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	215606315

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ჭიათურა
ფაქტობრივი მისამართი	ჭიათურა, გოგებაშვილის ქ. # 12
საფოსტო ინდექსი	**5500**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**http://bit.ly/3TJT9vU**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**Chiatura5@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577977406**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 მაისის ბრძანება N527776 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ ჭიათურის No5 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 19 და 20 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანამანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ჭიათურა, გოგებაშვილის ქ. N12, შენობა-ნაგებობის რაოდენობა 1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის	საბაზო საგანამანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ჭიათურა, გოგებაშვილის ქ. N12,

	ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამა			შენობა-ნაგებობის რაოდენობა 1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანამანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ჭიათურა, გოგებაშვილის ქ. N12, შენობა-ნაგებობის რაოდენობა 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლაში ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 მაისის ბრძანება N527776 „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ ჭიათურის No5 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“ შესაბამისად. ვიზიტამდე შედგა ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები ონლაინ teams-ის პლატფორმაზე. შეხვედრებში მონაწილეობას იღებდა ყველა ექსპერტი. განხილული იქნა სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია და გამოთხოვილი იქნა დამატებითი მასალები, რაც ექსპერტებმა ჩათვალეს საჭიროდ სკოლის საქმიანობის უკეთ შესაფასებლად. შეთანხმდა ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ვიზიტი შედგა 19-20 ივნისს. ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო და შეისწავლა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში სკოლის საქმიანობა და ინფრასტრუქტურა. საჭიროების მიხედვით მოხდა დამატებით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობა შესწავლა. მოხდა ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერება, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების. ექსპერტების მიერ განხორციელდა სკოლის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობების დადგენა. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრნენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს და სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ teams-ის და zoom-ის პლატფორმების გამოყენებით. სკოლის მხრიდან იყო აბსოლუტური

მიმღებლობა, რამაც ხელი შეუწყო ინტერვიუების საქმიან პოზიტიურ გარემოში განხორციელებას. ვიზიტის ბოლოს სკოლას გაეცნო მიგნებები, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლისთვის დამახასიათებელია მოსწავლეთა საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება, ტოლერანტობა და მიმღებლობა . ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ქალაქში არის კომპაქტურად დასახლებული განსხვავებული რელიგიური მიმდევრობის წარმომადგენლები. მათი დასახლება არ მიეკუთვნება კონკრეტულად იმ თემს სადაც სკოლა მდებარეობს თუმცა ბავშვები სწორედ აქ დადიან განათლების მისაღებად. ასევე დაწესებულების გამორჩეული პრაქტიკის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ არაფორმალური განათლება და ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირებული გაკვეთილების სისტემატიური დაგეგმვა-განხორციელება. მხოლოდ განვლილ 2024-2025 სასწავლო წელს სკოლას ამ მიმართულებით განხორციელებული აქვს ოთხ ათეულზე მეტი პროექტი. ამას აღწევს სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურის მაღალი დონით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 750	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒**	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	**თვითშეფასების განაცხადის ფორმაში სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა იყო 426. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის 2025 წლის 19 ივნისს გაგზავნილი N700383 წერილით სკოლამ ითხოვა თვითშეფასების ფორმაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება. რაც გათვალისწინებული იქნა. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა რაოდენობას 750 მოსწავლე, იმ შემთხვევაში თუ სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს მინიმუმ ორ ცვლაში.**

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

---

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლ საქმიანობისთვის შესაბამ ინფრასტრუქტურასა და მატერიალუ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადიდ და დადგენილი მოსწავლეთა ადგილებ ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებიდ	დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 09.07.2025-09.07.2026 საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის მიღება, რომელზეც სრული სიზუსტით იქნება დატანილი ამჟაამინდელი მონაცემები.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანებ შესაბამისი აქტივობები, შესრულებ გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტურ ვადები, პასუხისმგებელი პირებ სტრუქტურული ერთეულები და შესაბამის რესურსები, რომელთა უზრუნველყოფ რეალისტურია	სკოლას მიეცა რჩევა მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას მეტად დააკონკრეტოს აქტივობების განხორციელების დრო და რესურსი.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ**	*რჩევა*
3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციებ მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლას მიეცა რჩევა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმეტში მუხლი 3 . რეგულაციის დოკუმენტების ჩამონათვალში შეიტანოს შიდა რეგულაციების დოკუმეტები: სკოლის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების დებულება, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
3.2.1.5.	*წახალისებულია პერსონალ განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივები*	სკოლას მიეცა რჩევა: პერსონალის ინიციატივები და იდეები წერილობით eflow-გამოყენებით იქნას მიწოდებული შესაბამისი რგოლისთვის.

3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სკოლას მიეცა რჩევა, იზრუნოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე, შრომის უსაფრთოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან დაკავშირებით;
3.4.1.6.	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.*	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მექანიზმები.
3.6.1.1.	ინფორმაციული ტექნოლოგიებ ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფ ადმინისტრაციული და სასწავლო პროცეს სრულფასოვან წარმართვას	სასურელია სკოლამ იზრუნოს, რომ სკოლის შენობაში ინტერნეტი სრულა იყოს ხელმისაწვდომი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცეს სრულფასოვან წარმართვას.

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
4.2.1.1.	*სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლ გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყო მექანიზმები.*	სასურველია, ცვლილება შევიდეს ტრანზიციის დებულებაში და დაკონკრეტდეს წარმატებული ადაპტაციისა და დეზაპტაციის ნიშნები და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები.
4.2.2.1.	*კარიერული დაგეგმვისა და პროფესიულ ორიენტაციის მომსახურე ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის.*	სასურველია, მომდევნო 2025-2026 სასწავლი წლისთვის სკოლამ შეისწავლ კურსდამთავრებულთა სტატისტიკა, იკვლიოს საშუალო საფეხურ მოსწავლეთა ინტერესები და ამგვარად შესთავაზოს კარიერული დაგეგმვ კუთხით კონკრეტული ღია კარის დღეები თუ საინფორმაციო შეხვედრები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა
N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სასურველია, რომ კურიკულუმში და კომპლექსურ დავალებებ გათვალისწინებული იყოს სსსმ მოსწავლეებზე მორგებული აქტივობებ და ალტერნატიული დავალებები (უცხოური ენები).
N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	იმისათვის, რომ კურიკულუმში უფრო მეტად წარმოჩინდეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, სასურველია, დავალებების იდეები და აქტივობები იყოს უფრო მრავალფეროვანი, ჩანდეს, რომ მაგალითად, პარალელური კლასების მასწავლებლები ერთსა და იმავე თემაზე განსხვავებული მიდგომით მუშაობენ, შუალედური მიზნის მისაღწევ საშუალებებად განსხვავებულ გზებს სახავენ. შესაძლებელია, თემის გასწვრივ მოინიშნოს რამდენიმე დავალების იდეა და მიეთითოს, რომელი პარალელი მუშაობს მოცემულ საკითხზე. (სახელმწიფო ენა).
N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	სასურველია თითოეულ კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თან დაურთოთ შუალედური დავალების პირობები (სასურველია

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	ეტაპებად გაწერილი) კომპლექსური შესაბამისი, ცნებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკით. (მათემატიკა).
N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	1. იმასთან დაკავშირებით ,რომ თითოეულ თემაში მოხდეს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, დაემატოს კომპლექსური /შემოქმედებითი ტიპის დავალებების რაოდენობა და დაიხვეწოს კურიკულუმების სტრუქტურა . (მაგ : მე-3 კლასის მათემატიკის და ბუნებისმეტყველების პირველი კლასის კურიკულუმში კონტექსტმაგალითები და საკითხები შესაბამის სვეტებში არაა გაწერილი; ქართული ენის პირველ, მეორე და მესამე კლასის კურიკულუმებში კონტექსტმაგალითების სვეტში ჩამოთვლილია ძირითადი ტექსტები და ეს არ ჩანს სვეტის დასათაურებაში). 2. ქართული ენის კურიკულუმებში საკითხთა კლასტერის ნაცვლად სასურველია მითითებული იყოს საკითხი, რაც თანხვედრაშია დავალების იდეასთანაც.მათი შეტანა ერთად, საკითხების სვეტში შეიძლება. ხოლო ძირითადი/დამხმარე ტექსტები და კონტექსტმაგალითები უნდა იყოს შეტანილი გრაფაში ტექსტი/ტექსტები. 3. სასურველია, კურიკულუმებში მხოლოდ შემოქმედებითი ბუნების დავალებები ეწეროს დავალებების სვეტში, ხოლო ჩვეულებრივი აქტივობები და სავარჯიშოები მატრიცებში მოინიშნონ. 4. ბუნებისმეტყველების კურიკულუმში სავალდებულო თემები სწორად განისაზღვროს ყველა კლასში. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური).

N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სასურველია კონტექსტ მაგალითები შერჩეულ იქნას უფრო დაზუსტებით და კავშირში იყოს საკითხთა კლასტერთან. (საზოგადოებრივი მეცნიერებები).
N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	კურიკულუმის შინაარსის დაგეგმვისას მიზანშეწონილია თითოეული აქტივობისა და თემის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებულ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებს, რათა სწავლება იყოს მიზანმიმართული და სტრუქტურირებული. (უცხოური ენები).
N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სასურველია, საკითხები ფორმულირდეს ისე, რომ მასში იკითხებოდეს არა ტექსტის სათაური(ან დავალების დასახელება), არამედ ის მთავარი ქვეცნებები, რომლებიც თემის ფარგლებში მუშავდება(მაგალითად, ნ. ლორთქიფანიძის ,,შელოცვა რადიოთი“არის ტექსტი, ძირითადი რესურსი, ხოლო საკითხი - ნ.ლორთქიფანიძის ნაწარმოებში ,,შელოცვა რადიოთი“ წარმოჩენილი მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიული ვითარება“). (სახელმწიფო ენა).
N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე ინტეგრირებული შუალედური, შემოქმედებითი დავალებები. მიმართულებით კარგი გამოცდილებაა STEM პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაც. (მათემატიკა).
N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სასურველია, კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული.

		იკვეთებოდეს კურიკულუმში, რომ ყველა სამიზნე ცნება მუშავდება თითოეულ თემაში. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური).
N2.1.2.2.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, სსსმ მოსწავლეთათვის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები იყოს კიდევ უფრო ინდივიდუალიზებული და დიფერენცირებული, რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ სწავლის შედეგების მიღწევას.ასევე სასურველია, კათედრამ საგნობრივი მიმართულებით წინასწარ განსაზღვროს რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რაც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის უკეთ დაგეგმვას, რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას და მოსწავლეთა სწავლაზე ორიენტირებულ აქტიურ ჩართულობას. (უცხოური ენები).
N2.1.2.2.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე, გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან ერთად, მიეთითოს ის დამატებითი რესურსებიც, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს მიმდინარეობისას გაამახვილეს ყურადღება(კლასგარეშე ლიტერატურა, დოკუმენტური ფილმები...). (სახელმწიფო ენა).
N2.1.2.2.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სწავლის მიზნების გათვალისწინებით მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. (მათემატიკა).

N2.1.2.2.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, რომ რესურსების ჩამონათვალი დაწყებით საფეხურზე კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური).
N2.1.2.3.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სასურველია, კურიკულუმში განისაზღვროს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების კონკრეტული მაგალითები, ინსტრუქციები და განხორციელების პირობები, რათა მასწავლებლებს ჰქონდეთ პრაქტიკული სახელმძღვანელო სხვადასხვა დონეზე მოსწავლეების მხარდაჭერისთვის. საკმარისია რამდენიმე ნიმუში, რომელიც ეფექტურად წარმოჩენს განსხვავებულ სტრატეგიებს. (უცხოური ენები).
N2.1.2.3.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სასურველია, კურიკულუმში დოკუმენტურად აისახოს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების იდეები, ინსტრუქციები, პირობები. საკმარისია რამდენიმე ნიმუში. (სახელმწიფო ენა).
N2.1.2.3.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სასურველია კურიკულუმშიც შეიტანონ ის მრავალფეროვანი დავალება სამივე საფეხურზე, რომლებსაც ახორციელებენ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატით ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო

		რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა). (სპორტი).
N2.1.2.3.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სასურველია, კურიკულუმშიც ჩანდეს, დანართშიც იყოს გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალების ადაპტირებული/ დიფერენცირებული პირობა და შეფასების რუბრიკა. (ზოგადი განათლების დაწყებით საფეხური).
N2.1.2.4.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია შექმნან საკითხთა კლასტერზე, ცნებაზე დამიზნებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. (საზოგადოებრივი მეცნიერებები).
N2.1.2.4.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, რომ თითოეულ საფეხურზე ენის გათვალისწინებით შეიქმნას ცხადი და დეტალური კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მიღწევის დონეს, რაც უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობას და შესაძლებლობას, ადეკვატურად შეაფასონ წინსვლა და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს სწავლის დიფერენცირება. სასურველია კრიტერიუმები დაეფუძნოს კონკრეტულ უნარებს და შეესაბამებოდეს საგნის მიზნებსა და მასალას. (უცხოური ენები).
N2.1.2.4.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს

		კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური).
N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია ყველა საფეხურზე აქტიურად გამოიყენოთ დიფერენცირებული და ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლის მიზნების ეფექტურ მიღწევას. (უცხოური ენები).
N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია, კურიკულუმში უფრო მეტი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე ორიენტირებული დავალება და საგნობრივი პროექტის იდეა იყოს წარმოდგენილი. (სახლემწიფო ენა).
N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სასურველია, ზემოთ ჩამოთვლილ საგნებში შეიქმნას მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალება, რადგან ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა არის პროდუქტიული და ხელს უწყობს სამივე კატეგორიის ცოდნის ჩამოყალიბებას. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური).
N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	შეფასების კრიტერიუმების უფრო მრავალფეროვანი და საგნობრივად(ინგლისური ენა,რუსული ენა,გერმანული ენა) შესაბამისი აღწერა სასურველია კრიტერიუმები დაეფუძნოს კონკრეტულ უნარებს და შეესაბამებოდეს საგნის მიზნებსა და მასალას.ასევე სასურველია შემაჯამებელი დავალებები იყოს მრავალფეროვანი და ღია ტიპის, არა მხოლოდ ტესტური ან დახურული.მორგებული ტექსტსა და თემაზე. (უცხოური ენები).
N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის მასწავლებლები უნდა დაეყრდნონ სწორედ იმ დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვთ წარმოდგენილი ან მომავალში შეიტანენ. ვურჩევთ სკოლას, უზრუნველყოს პროფესიული მხარდაჭერა(ტრენინგი, საკონსულტაციო შეხვედრა) კათედრისთვის. (სახელმწიფო ენა).

N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება განასკუთრებით კარგად გამოიკვეთოს მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებიდან, იქნება ეს მასწავლებლის შეფასება, თანატოლთა შეფასება თუ თვითშეფასება. (მათემატიკა).
N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია, ყველა შემოქმედბით დავალებას შეფასების სქემა თან ერთვოდეს, რათა მომავალში მოსწავლეებს უკეთ მიეცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლემ კი მოახერხოს თვითშეფასება. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური).
N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სასურველია, სკოლამ რეგულარულად გაატაროს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხობრივი შემოწმება და დადასტურებული რესურსები გამოიყენოს სწავლის პროცესში. (უცხოური ენები).
N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სასურველია კათედრამ შეიმუშაოს სასწავლო რესურსების შერჩევის წესი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ასაკობრივი თავისებურება, შინაარსობრივი გამართულობა, ინოვაციურობა, მიზანთან შესაბამისობა (მათემატიკა).

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორის მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის რელევანტურობის შესახებ და ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“ (3.5.1.1.)
ასევე ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს წერილში (N884471 17.07.2025) ინდიკატორების 3.4.1.1. და 3.4.1.3 აღწერის მიმართ გამოთქმულ მოსაზრებებზე და არ ეთანხმება, რადგან სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის საშტატო განრიგი არ ითვალისწინებს ,,კარისკაცის” საშტატო ერთეულს, არც სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის N2-195 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტში ,,სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მთხოვნების” არაა თანამშრომელთა ჩამონათვალში ,,კარისკაცი”. მეტიც იგივე დოკუმენტში დარაჯის ფუნქცია მოვალეობებშია გაწერილი ,,უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიის დაცვა უცხო პირთა შემოსვლისგან (გარდა დირექციასთან შეთანხმებული შეხვედრებისა). რაც შეეხება ინდიკატორს 3.4.1.5. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ სკოლას სამივე სართულზე აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რადგან მასში ხაზგასმულია, რომ სკოლა ცდილობს შექმნას უსაფრთხო, თანასწორი (ეთნიკური, რელიგიური, გენდერული), ინკლუზიური და პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე. სწავლების თანამედროვე და ნოვატორული სტრატეგიების გამოყენებით ხელი შეუწყოს მაღალმორალური, პატრიოტი, სამართლებრივი კულტურის მატარებელი პიროვნების აღზრდას. გრძელვადიან პერსპექტივაში სკოლა ხედავს, რომ იგი იქნება წარმატებული, ავტორიტეტული და გამოცდილების გამზიარებელი რაიონის სკოლებისთვის. ხოლო მათ კურსდამთავრებულებს ექნებათ ეროვნული, ტრადიციული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისადმი პატივისცემა. შეძლებენ თვითიდენტიფიცირებას, სოციუმში დამკვიდრებასა და სრულფასოვან რეალიზაციას. მათ გარშემო ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე მიმდინარე პროცესებისა და ფაქტების ობიექტურ შეფასებას, გაიაზრებენ თავიანთ, როგორც მოქალაქის/პიროვნების როლსა და პასუხისმგებლობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლა მისიითა და ხედვით აცნობიერებს საკუთარი როლს, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის შექმნის პროცესში. მისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების და თემის ურთიერთობა, ამ უკანასკნელის მაღალი ინტერაქცია სასკოლო პროცესებში. ინტენსიურად ახორციელებს სხვადასხვა ინიციატივებსა და პროექტებს, რომელიც ხელს უწყობს თემში ისეთი სოციო-კულტურული სივრცის შექმნას, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე.

სკოლაში ვიზიტისა და სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის შედეგად გაირკვა, რომ სკოლის მისიაში ჩანაწერი „სკოლა ცდილობს შექმნას უსაფრთხო, თანასწორი (ეთნიკური, რელიგიური, გენდერული), ინკლუზიური და პოზიტიური სასწავლო გარემო", გაჩნდა სწორედ სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვის შედეგად. კერძოდ,

სკოლაში სწავლობს, როგორც განსხვავებული ეთნოსის, ასევე, განსხვავებული რწმენის წამომადგენელი მოსწავლეები, რომლებიც უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ თავს. მათ პიროვნული განვითარების სრული შესაძლებლობა აქვთ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

მას შემდეგ, რაც სკოლამ დაიწყო მუშაობა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე, დირექტორის 2024 წლის 21 მაისის N2-28/1 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,, სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია" მუხლი 7. შესაბამისად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა კითხვარი სასკოლო საზოგადოებისთვის, რომელიც დაიგზავნა, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად (კლასის ხელმძღვანელების ჩართულობით). მიღებული უკუკავშირის ანალიზის შედეგად შემუშავებული იქნა მისია, ხედვა, ღირებულებების პირველადი ვერსია. აღნიშნული განსახილველად გაზიარდა სკოლის სხვადასხვა კოლეგიალურ ერთეულებში (მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობლები, პედაგოგები). მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა საბოლოო ვერსია და წარედგინა დირექტორს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

პროცესი, რომელიც 1.1.1.3 ინდიკატორში იქნა აღწერილი მიუთითებს, რომ სკოლის ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აღნიშნულის მტკიცებულებაა კითხვარები და კითხვარებზე უკუკავშირები, რომელიც სკოლის მიერ იქნა მოწოდებული და ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუებით იქნა დადასტურებული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის ფილოსოფია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ამ მიზნით იგი განთავსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ skolebi.emis.ge სკოლის შესაბამის გვერდზე. ასევე, სკოლის სოციალური მედიის გვერდზე, გაგზავნილი იქნა დახურული მესენჯერ ჯგუფებში, ელექტრონული ფოსტებით და განთავსებულია სკოლის შენობაში. იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2005 წლის 19 სექტემბრის # 448 ბრძანებით და ეწოდება სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის 2024 წლის 21 მაისის N2-28/1 ბრძანება ,, სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია”
2.დირექტორის ბრძანება ჯგუფის სექმნის სესახებ
3.კითხვარები, კითხვარის ლინკები
4.სკოლის ვებ გვერდი
5. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

დირექტორის 2024 წლის 21 მაისის N2-28/1 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენისას სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესსების

გათვალისწინებას. მეთოდოლოგიის მე-4 მუხლში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული მხარეები:

• სკოლის დირექცია;
• სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი);
• სამეურვეო საბჭო
• თემი.

ხოლო მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრებს ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას ან/და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმეტების მათთვის გაზიარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან, ეფუძნება მისიასა და ხედვას, მასში გაწერილია მისიათან და ხედვასთან თავსებადი მიზნები. ის, რომ სტარტეგიული გეგმა ციკლურია დადასტურებულია სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-8 მუხლით. (აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისადაა შედგენილი სტრატეგიული გეგმა.) კერძოდ, მე-8 მუხლის მე-7 პუნქტში ნათქვამია ,, სტრატეგიული დაგეგმვის მეოთხე ეტაპზე ხორციელდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება;." სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. იმისათვის, რომ სკოლამ მოახერხოს თავისი მისიის შესრულება და მოსწავლეებისათვის საუკეთესო საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, სტრატეგიული გეგმის შედგენამდე გაკეთებული აქვს SWOT ანალიზი. რითაც შეძლო სწორად დაენახა საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ამის საფუძველზე შეიმუშავა შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

- სწავლა - სწავლების პროცესის გაუმჯობესების ხელშეწყობა.
- სასკოლო ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების მუდმივი განვითარება /განახლება
- კოლეგიალური ინსტიტუტების გაძლიერება
- უსაფრთხო, ინკლუზიური და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა

➢ ადგილობრივ, რეგიონალურ, სახელმწიფო დონეზე სხვადასხვა ინსტიტუტებთან ეფექტური თანამშრომლობა რაც თავსებადია მის მისიასა და ხედვასთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება და გამომდინარებს სტრატეგიული გეგმიდან. მას სკოლა ადგენს სასწავლო წლის ბოლოს სტრუქტურული ერთეულების/პირების ანგარიშების განხილვისა და შეფასებების განხორციელების შემდეგ, ამასთან, სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მუხლი 12-ის მიხედვით, წელიწადში ორჯერ იანვარსა და ივნისში ახორციელებს მონიტორინგს, რაც შეიძლება გახდეს სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების საფუძველი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. თუმცა სკოლას მიეცა რჩევა, უმჯობესია სკოლის სამოქმედო გეგმაში მეტად იყოს დაკონკრეტებული აქტივობის განხორციელების დრო და რესურსი.

სკოლას მიეცა რჩევა მოავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას მეტად დააკონკრეტოს აქტივობების განხორციელების დრო და რესურსი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა 2025-2031წწ;
3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025 წ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 მაისის N2-28/1 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემას (მუხლი 12.), სადაც ნათქვამია, რომ პუნქტი 1.სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

პუნქტი 2. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. პუნქტი 3. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.

დირექციასთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა, დოკუმენტის თანახმად, ახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს. ადგილზე ექსპერტები გაეცვნენ იანვრის მონიტორინგის შედეგებს. სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და შეფასება სკოლის წარმომადგენლებს ავტორიზაციის ვიზიტის შემდგომ ჰქონდათ დაგეგმილი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სკოლაში მოქმედებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებული და ჩართულია მონიტორინგისა და შეფასების პროცესებში. გათვალისწინებულია მათი უკუკავშირები მონიტორინგის დროს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისათვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის წერილობით მეთოდს, რომლის საფუძველზე ხდება შეფასება. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით დირექტორს წარუდგენს ინიცირების წერილს სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სკოლის თითოეული რგოლის ხელმძღვანელი მიზნობრივ მონიტორინგსა და შეფასებას ახდენს გაწერილი წესის თანახმად. მაგალითად, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის

კოორდინატორი და ექიმი კურირებენ, საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმეგებელნი არიან სკოლის დირექცია და მანდატურის სამსახურის თანამშრომლები, პერსონალურ მონაცემების დაცვას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პირი უზრუნველყოფს და ა.შ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების გასაჯაროვება ხდება, როგორც სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკვრით, ასევე სკოლის ვებ გვერდზე გამოქვეყნებით და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ასევე სკოლას აქვს პრაქტიკა სასკოლო საზოგადოებისთვის ანგარიშის წარდგენის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

2.სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 26 დეკემბრის N 2-204 ბრძანება ,, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა''

3. დირექტორის მოადგილის ანგარიში

4.სკოლის ვებ გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სსიპ ქალაქ ჭიათუის N5 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ორი დოკუმენტი, რომლებშიც გაწერილია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. ასეთია, სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის N 2-195 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.” სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 09 სექტემბრის N 2-132/1 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების დებულება” ორივე დოკუმენტში ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში მეორდება პერსონალის ფუნქციები ისინი იდენტურია და არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამასთანავე სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის N 2-200 ბრძანებით. ამ დოკუმენტის მუხლი 4. პოლიტიკის ამოცანების მიხედვით პოლიტიკის ამოცანებია: დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა; დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება; დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ხოლო მუხლი 3. ჩამოთვლის იმ გარე რეგულაციებს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების პროცესში. კარგი იქნება თუ სკოლა ამავე მუხლში გაითვალისწინებს თავისივე შემუშავებულ შიდა რეგულაციების დოკუმენტებსაც.

სკოლას მიეცა რჩევა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმეტში მუხლი 3 . რეგულაციის დოკუმენტების ჩამონათვალში შეიტანოს შიდა რეგულაციების დოკუმეტები: სკოლის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების დებულება, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად სკოლის ყოველ სტრუქტურულ რგოლს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულები, თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რის მიხედვითაც განსაზღვრულია თითოეული თანამდებობის ფუნქცია და პასუხისმგებლობები. სკოლაში დასაქმებულნი არიან პირები, რომლებიც ითავსებენ როგორც ადმინისტრაციულ, ასევე საგაკვეთილო პროცესს, მათი ფუნქციები გამიჯნულია, არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობენ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა პერიოდულად ფასდება მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით, სამსახურებრივი ბარათებითა და დასკვნებით. სკოლის ყველა სტრუქტურის და პირების ფუნქციები ემსახურება სკოლის ძირითადი საქმიანობების შესრულებას და მიზნების განხორციელებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
2. სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
3. სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების დებულება.
4. სკოლის სტრუქტურა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის N 2-200 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტისა და შინაგანაწესის მიხედვით. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება დაწესებულების მისიას, ღირებულებებსა და მიზნებს. პოლიტიკის ამოცანებია: დაწესებულების

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა; დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება; დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:სამართ�lianობა, თანასწორობა, თანაბარი შესაძლებლობები, მიზანშეწონილობა, გამჭვირვალობა,პროფესიული განვითარება, მონაწილეობის პრინციპი, ორიენტაცია ხარისხზე. ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტი ციკლი მოიცავს ერთმანეთთან მონაცვლე ოთხ მიმართულებას :1. ორგანიზება/დაგეგმვა 2ორგანიზება/დაგეგმვა. 3. სამუშაოს მართვა 4. ორგანიზაციიდან გასვლა. დოკუმენტები მოიცავს შემდეგ საკითხებს: კადრის მოზიდვა/შერჩევა, სამუშაო აღწერილობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა, მასწავლებელთა შერჩევა/კონკურსის ორგანიზება, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასება, პროფესიული განვითარება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები, წახალისების მექანიზმები და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის N 2-212 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის პრევენციული ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტის მიხედვით სკოლა მის წინაშე მდგარი მიზნების და ამოცანებისა განსახორხიელებლად, საშტატო პოლიტიკის ეფექტურად და სამართლებრივად გატარების მიზნით შტატების შევსების პროცედურას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამართლიანი პროცედურებით, რაც გულისხმობს კვალიფიციური კადრების მოზიდვას, შენარჩუნებას და განვითარებას. სკოლის საშტატო პოლიტიკა ემყარება შემდეგ პრინციპებს: გამჭვირვალობა და თანასწორობა/თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა - რაც გულისხმობს სკოლის ყველა თანამშრომლის ასაკის, სქესის, ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი კუთვნილების, სოციალური წარმომავლობის ან პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად თანაბარ სამუშაო პირობებით უზრუნველყოფას. მათ შორის სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობასა და პროფესიული განვითარების თანაბარი შესაძლებლობებს.

დოკუმენტის მიხედვით სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება ისეთ საკვანძო პრინციპებს როგორიცაა: შეფასება განვითარებისთვის და არა კონტროლისთვის, გაზიარებული პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება პროცესების გაუმჯობესებასა და მიზნების მიღწევაზე, მაღალი და პოზიტიური მოლოდინები სასკოლო საზოგადოებისგან, თვითრეგულაციის და თვითმართვის უნარების განვითარებაზე ორიენტაცია, პრევენციაზე დაფუძნებული დაგეგმვა და მართვა, რაც მოიცავს სკოლის ბაზაზე პრევენციული სისტემის არსებობასა და მხარდაჭერას

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი

მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ვაკანსიების ამსახველი მტკიცებულება ვებ გვერდზე არსებული ტექნიკური ხარვეზის გამო, არ იძებნება, კონკურსის მასალებით, დგინდება,რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისშესაბამისად. პერსონალის მართვის პოლიტიკით დადგენილია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის სდირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია, რომელიც შედგებოდა კანონმდებლობის შესაბამისად, რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, რომლითაც ასევე განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ყველა მასწავლებლის პირად საქმეში წარმოდგენილია ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ხოლო 2020 წლის 01 ივნისის შემდგომ დასაქმებულ თანამშრომლის შემთხვევაში ასევე წარმოდგენილია ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალი შერჩეულია გამჭვირვალედ და ობიექტურობის დაცვით. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები ყველა დასაქმებულ პირთან. ადგილზე ვიზიტისას გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ მოთხოვნებს. გარდა საპილოტე საგნის - სამხედრო საქმის მასწავლებლისა. სკოლის სხვა პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათ შორის ექიმის, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ექიმის კვალიფიკაციას. სტრატეგიული გეგმის SWOT ანალიზში სუსტ მხარეებში სკოლას აღნიშნული აქვს პერსონალის დაბალი ანაზღაურების გამო, კვალიფიციური კადრების მოზიდვის სირთულე. ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, რომ იმისათვის, რომ სრულად იქნას დაცული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სკოლა ამ ეტაპზე გეგმავს გადაამზადოს სკოლის ბიბლიოთეკარი რათა მისი კვალიფიკაცია შეესაბამებოდეს დაკავებულ პოზიციას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა სტრუქტურული ორგანოების სხდომის ოქმებით. სკოლის დირექცია ზრუნავს ხელი შეუწყოს ორგანიზაციული კულტურის განვითარებას, რომელიც გუნდურობასა და თანამშრომლობას მოიაზრებს. სკოლაში საჯაროობის, თანასწორობის პრინციპების დაცვით, თანამშრომლების შესაძლებლობებისა და კომპეტენციის გათვალისწინებით ხდება ფუნქციების დელეგირება, აქტივობებზე პასუხისმგებლობის განაწილება, რაც ზრდის ავტონომიურობის ხარისხს. სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. აღსანიშნავია სკოლაში საგნობრივ კათედრებს შორის ეფექტური თანამშრომლობაა, ისინი ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც, ინაწილებენ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, რომელიც განსაკუთრებით იკვეთება სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. შინაგანაწესის მე-10 მუხლში აღნიშნულია, რომ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ანდა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის ანდა დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ანდა მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ანდა საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

აღსანიშნავია, რომ ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცვნენ მიმდინარე წელს გამოყენებულ წახალისების სხვადასხვა ფორმას: მადლობის გამოცხადება და სიგელით დაჯილდოება.
2023 წელს სკოლამ მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე წარადგინა სამოქალაქო განათლების მასწავლებელი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
2. შინაგანაწესი
3. პრევენციული ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა
4. ვაკანსიის გამოცხადების და კონკურსის მასალები
5. სტრატეგიული განვითარების გეგმა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის N 2-212 ბრძანება სკოლის პრევენციული ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-8 მუხლში საუბარია პერსონალის შეფასებაზე.

შეფასება განიხილება როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის, შესაბამისად შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. პერსონალი ყოველი სემესტრის ბოლოს ავსებს სპეციალური თვითშეფასების ფორმას, რომელიც მოიცავს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშს და ანალიზს. რის საფუძველზეც დირექტორის მოადგილე, ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს პროფესიული მხარდაჭერის გეგმას, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი. გამოვლენილი საჭიროება აისახება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლა შეფასებისას ხელმძღვანელობს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის დოოკუმენტის მე-19 მუხლით, კერძოდ იგი სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. შეფასების სისტემა ეფუძნება ზრდასრულთა სწავლების კონცეფციას და ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს: პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნა; აქტიური მონაწილეობის წახალისება; გამოცდილებაზე დაყრდნობა; კოლაბორაციული კვლევა-ძიება; სწავლა მოქმედებისთვის. შეფასების მეთოდად სკოლა იყენებს 360 გრადუსიანი შეფასება; . თვითშეფასება; გასაუბრება; კრიტიკული შემთხვევები. შეფასებას ახორციელებს შემდეგ ეტაპებად დაგეგმვა; თვითშეფასება; გასაუბრება; საბოლოო შეფასება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. სამუშაო პროცესზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები დეტალურად განიხილება ინდივიდუალურად მასწავლებლებთან, რომლებიც თავის მხრივ ზრუნავენ საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად გაწერილია პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენისა და მართვის მექანიზმები. ადამიანური რესურსის განვითარების მიზნით სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებელთა თვითგანვითარების ხელშეწყობა, შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად საკლასო სივრცეში განხორციელება, ურთიერთდასწრება, გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების გაცემა. ამ მიმართულებით სკოლაში ვიზიტისა და ინტერვიუების დროს ნათლად გამოიკვეთა მენტორის და წამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებლების ჩართულობა კოლეგებთან მათი პროფესიული ზრდის მიმართულებით. სკოლამ დადასტურებად წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის სამოქმედო გეგმა და სამუშაო შეხვედრების ამსახველი მასალა, სადაც იკითხება საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირების საჭირო ინსტრუმენტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლაში შემუშავებული ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ერთ-ერთი ამოცანაა ხელი შეუწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას. დასაქმებულის თანხმობით სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. ამ მიზნით სკოლამ ტრენინგზე გადაამისამართა სკოლის ბუღალტერი და ბიბლიოთეკარი. მასწავლებლებს სკოლის დირექცია დროულად აწვდის ინფორმაციებს დაგეგმილი ტრენინგების, შეხვედრების, ვებინარების შესახებ (eflow, სოც. ქსელი, თიმსი, საინფორმაციო დაფა). პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დირექციისგან, რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ წინსვლას.

პერსონალის კარიერული ზრდის მხარდაჭერას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ 31 თანამშრომლიდან 10 წამყვანი და 1 მენტორი მასწავლებელია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა ახორციელებს შემდეგ პროცედურებს: პირველი შეხვედრა ორგანიზაციასთან, თანამშრომლების გაცნობა, მენტორი თანამშრომლის გამოყოფა. იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. ადაპტაციის ეტაპებად სკოლას გამოყოფილი აქვს მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ,

შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი, „ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ცდილობს შექმნას მასწავლებლებისთვის კომფორტული, კოლეგიალური სამუშაო გარემო და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მათი ინფორმირება და ფასილიტაცია. მასწავლებლები მხარს უჭერენ ერთმანეთს პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების განვითარებასა და რეალიზებაში. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელ და საჭირო ტრენინგ-მოდულებზე, ასევე სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია მასწავლებელთა ინიციატივით დაგეგმილი სხვადასხვა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობების განხორციელება.ინიციატივების სახელდება ხდება როგორც წერილობითი (მატერიალური), ასევე ზეპირი გზით.

სკოლას მიეცა რჩევა: პერსონალის ინიციატივები და იდეები წერილობით eflow-გამოყენებით იქნას მიწოდებული შესაბამისი რგოლისთვის.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პრევენციული ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის
2. თვითშეფასების ფორმები
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლას აქვს სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 26 დეკემბრის N 2-204 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტის მიზანი სწავლების ხარისხის

მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. ხარისხის სისტემა ფუნქციონირებს დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე ციკლის პრინციპით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის შიდა და გარე მექანიზმები. სკოლის მიერ შემუშავებული ხარისხის მართვის მექანიზმები ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გამჭვირვალობა, უწყვეტობა და ანგარიშვალდებულება. სკოლამ ადგილზე ვიზიტის დროს წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის კომპონენტების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები: კვლევები, ანალიზები, კათედრის სხდომის ოქმები, გაკვეთილზე დასწრების გეგმები და გაცემული რეკომენდაციები.

დირექცია და ადმინისტრაცია ხარისხის უზრუნველსაყოფად იყენებს სხვადასხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის მიწოდებას მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, ასაკობრივი ჯგუფისა და მათი განვითარების დონის შესაბამისად, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლის ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე და მეთოდური ლიტერატურა. სკოლა უზრუნველყოფილია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით, სახელმძღვანელოებითა და კომპიუტერული ტექნიკით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების იდენტიფიცირებას. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში, სასკოლო კურიკულუმში, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებში. სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს აგრეთვე იმ საკანონმდებლო რეგულაციებით, სადაც აღწერილია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების ფუნქციები. თანამდებობრივ ინსტრუქციებში კი იდენტიფიცირებული და აღწერილია თითოეული სტრუქტურული ერთეულის შესასრულებელი ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები. მთავარი დოკუმენტი სადაც იდენტიფიცირებული და არქწერილის სკოლის საგანმნათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები ესაა სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 26 დეკემბრის N 2-204 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 17ოქტომბრის N 2-156/1 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების პროცედურები. დოკუმენტი შედგება 6 თავისა და 14 მუხლისაგან და მასში დეტალურადაა გაწერილი საჩივრის შეტანისა და განხილვის წესი და პროცეურები. ასევე, სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, რომელიც ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლესა თუ მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის გადაწყვეტილებები. აღნიშნულის შესახებ მათ მიეწოდებათ ინფორმაცია შინაგანაწესის განხილვის დროს. შინაგანაწესი გამოკრულია საჯაროდ სკოლის საინფორმაციო დაფაზე და განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე. სკოლაში ეს პროცესი მიმდინარეობს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, მოსწავლის/მშობლის ვალდებულებები და სკოლაში ქცევის სტანდარტები, სასწავლო გარემო და ზოგადი ეთიკური ნორმები, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, დისციპლინური წარმოება და სახეები. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს ასევე, სკოლამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 17ოქტომბრის N 2-156/1 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების პროცედურები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.
2. კათედრის სხდომის ოქმები
3. ინვენტარიზაციის მასალები
4. შინაგანაწესი
5. შრომით ხელშეკრულები

6. სასკოლო კურიკულუმი
7. სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელ დებულება
8. სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების პროცედურები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ვებ.გვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, Microsoft Teams - ის პლატფორმას, მეილებს, sms-ებს, მესენჯერ ჯგუფებს, შეხვედრებს (ინდივიდუალური და ჯგუფური), კრებებს, დამრიგებელთა და მასწავლებელთა სოციალურ გვერდებს. პედაგოგებთან, საქმისმწარმოებელთან ინტერვიუირებამ აჩვენა, რომ სკოლა სოციალურ ჯგუფებში ავრცელებს ინფორმაციას სასწავლო პროგრამების, სასწავლო რეჟიმის, არაფორმალური განათლების აქტივობების შესახებ. სოციალური ქსელს სკოლა იყენებს სასკოლო კვლევების განსახორციელებლადაც. სკოლის ფოიეში და სამასწავლებლოში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, რომელზეც მოცემულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები. სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრისას დადგინდა, სასწავლო წლის დაწყებისას დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის და მათ მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის შემდეგი დოკუმენტაციის გაცნობას: სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმა,ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ქცევის წესები, სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა და სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია და სხვ. სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა ფორუმი რომელიც დაეხმარება მშობლის ინფორმირებულობას და მისგან უკუკავშირის მიღებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მშობელთა ფორუმი. სკოლის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულია სასკოლო საზოგადოების წევრები სამეურვეო საბჭოს მეშვეობით. წევრი მშობლები წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში. თითოეული საფეხურიდან წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის

განხილვისა და დამტკიცების პროცესში. ასევე, ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრია, ასევე, სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა ხმას სამეურვეო საბჭოში. ვიზიტის პროცესსი სკოლასი დაწყებული იყო მზადება სამეურვეო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით. მშობლები და მოსწავლეები არიან სკოლის დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტის წევრებიც. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შეხვედრების ოქმები, რის მეშვეობით დასტურდება სასკოლო ცხოვრებაში და კოლეგიურ ორგანოებში ჩართულები არიან მშობლები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. დისციპლინური საბჭოს სხდომის ოქმები.
3. სასკოლო-სასწავლო გეგმა.
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
5. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.
6. მშობელთა კრების ოქმები
7. სკოლის ვებ გვერდი
8. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის N 2-211 ბრძანებით სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, წესის მიზანია: ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება; უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა; სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების ხელშეწყობა. 2025 წლის 8 აპრილს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, 2025 წლის 27 მაისს N01582830 წერილით სკოლას მიღებული აქვს N 151 სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი, ხოლო 2025 წლის 2 ივლისს N0000610757 წერილით სკოლის დირექტორს მიმართული აქვს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის აქტში აღწერილი ხარვეზების გამოსწორებაში დახმარების მიზნით. სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2025 წლის 22 აპრილს გაცემული დასკვნა, რომელშიც იკითხება, რომ სკოლის ენობა-ნაგებობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა) დამაკმაყოფილებელია. სკოლა არის სრულად რეაბილიტირებულ. შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, აქვს პანდუსი და ლიფტი. სკოლის ეზო მთლიანად შემოსაზღვრულია ღობით და დაცულია. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია სტანდარტების შესაბამისი 52 სათვალთვალო კამერა. შენობის შიგნით დამონტაჟებულია თანამედროვე სახანძრო სიგნალიზაცია და ცეცხლმაქრი სისტემები. სკოლის ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსი ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოების

დასაცავად, გაფორმებულია ხელშეკრულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დარაჯის პოზიციაზე ორ პირთან, რომლებიც ასევე აკონტროლებენ სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირების გადაადგილებას და აღრიცხავენ მას სპეციალურ ჟურნალში. სკოლას ჰყავს ორი მანდატური, ექიმი. შემუშავებულია კლასის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. ეზოში მოწყობილია ღია სპორტული მოედანი. სკოლის გარეთ და სკოლაში მანდატურის სამსახურის მხრიდან უზრუნველყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. სკოლიდან მოსწავლის გასვლა სასწავლო პროცესის დროს დაშვებულია საშვით, რაც თანხმდება მშობელთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს ოქმში აღნიშნულია, რომ სკოლამ მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ -„112“ -ის ცხელი ხაზის ნომერს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მანდატურის სამსახურის ფსიქო - სოციალური ცენტრის და მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომრებს. ეს მონაცემები გამოკრულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საინფორმაციო დაფაზეც. სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი. შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სადაც გათვალისწინებულია სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების პროტოკოლი. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლას მიეცა რჩევა, იზრუნოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის დასაქმებაზე, შრომის უსაფრთოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან დაკავშირებით;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს ექიმი. ექიმის კვალიფიკაცია თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა , შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან. დაწესებულებას აქვს სამედიცინო კაბინეტი. შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. არის გასასინჯი სივრცე გამოყოფილი, ეგრეთწოდებული შირმა. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს. ასევე, აწარმოებს გახარჯული და ჩამოწერილი მედიკამენტების აღრიცხვას. აღწერილი აქვს დახმარების მიმღები მოსწავლეები და პერსონალი. სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის N 2-209 ბრძანებით დამტკიცებუ-ლია სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, სადაც გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი დახმარების პროტოკოლი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში მომუშავე მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას. ასევე სკოლის დარაჯები უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას როგორც გაკვეთილების მიმდინარეობისას, ასევე, შენობაში შესვლისა და გასვლის დროს. სკოლაში მასწავლებლები მორიგეობენ გაკვეთილების მიმდინარეობისას, სკოლის ვიზიტორებს აღრიცხავს დარაჯი. სკოლას ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, მოსწავლის უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ნებისმიერი დარღვევა აღირიცხება და მოჰყვება დაუყოვნებლივი რეაგირება. ღონისძიებების ეს ერთობლიობა მინიმუმამდე ამცირებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს. გამოვლენილი თითოეული დარღვევა არ რჩება რეაგირების გარეშე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. კლასის დამრიგებლები აქტიური მუშაობით, სადამრიგებლო საათებზე საუბრებით, დისკუსიებით აღმოფხვრიან ბულინგის, კიბერბულინგის, ძალადობის ფსიქოლოგიური შემთხვევებს. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თავს გრძნობს დაცულად. ეს მიიღწევა კეთილგანწყობით, ურთიერთპატივისცემით, ეფექტური, პოზიტიური, თანმიმდევრული კომუნიკაციით, ემპათიით, თანამშრომელთა პასუხისმგებლობით, ნდობის მოპოვებით, პოზიტიური საკლასო კლიმატის შექმნაზე ზრუნვით, ურთიერთობებით, მშობლების ინფორმირებულობით, მათთან თანამშრომლობით და მზაობით, რომ ნებისმიერი პრობლემა გადაიჭრას მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, თანასწორობისა და სამართლიანობის განცდით, რომელსაც სკოლის თანამშრომლები ქმნიან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური პირობებს დაცვის მექანიზმი. სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 დეკემბრის N 2-213 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე დასუფთავების მონიტორინგს ახდენს სკოლის ექიმი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. დასუფთავების მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღე და დასტურდება დოკუმენტურად ანგარიშით. სკოლაში განცალკევებით ინახება სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარი, რომელიც ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ. ასევე, სკოლის სათავსოების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ყველა სართულზე არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონების და ცალკე ვაჟებისთვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის არსებობს

სანიტარული კვანძი. მეორე სართულზე განთავსებულია სსსმ პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილები. სველი სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, ხელმისაწვდომი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის წარმომადგენლები აცნობიერებენ პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობას. სკოლის პერსონალური მონაცემები დაცულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ში. ამ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეთა პირადი მონაცემების გასაჯაროებისათვის იყენებენ მშობელთა თანხმობის ფორმას. სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონაცემები ინახება ელექტრონულ ჟურნალში, რომელზეც ხელი მიუწვდება მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლა უზრუნველყოფს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის პერსონალური მონაცემების დაცვას. სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, რომელიც დამტკიცებულია ქალაქ ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტის უფროსის 2025 წლის 21 მარტის N2-48 ბრძანებით. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე Pdps.ge

სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მექანიზმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლას ჰყავს საქმისწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია პედაგოგთა და მოსწავლეთა მონაცემების შენახვასა და დაცვაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

8..სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლის შიდა სამართლებრივი აქტებით განისაზღვრება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირებას. მაგალითად, დარაჯების მუშაობა (დაკვირვების რეჟიმში), მათი დახმარება, მორიგეობა სართულებზე, დერეფნებში, ეზოში, კვების ბლოკში და ა.შ. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხები, რომელიც იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ;
2. შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტაცია;
3. სკოლის შინაგანაწესი;
4. სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება.
5. სადამრიგებლო პროგრამები;
6. მრჩეველთა საჭოს ოქმი.
7. სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი
8. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,
9. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
10. ხელშეკრულებები
11. სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი
12. ქალაქ ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტის უფროსის 2025 წლის 21 მარტის N2-48 ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სკოლა განთავსებულია 5600 კვ.მ. ფართობზე (საკადასტრო კოდი 38.10.08.041). სკოლას აქვს სამსართულიანი შენობა. სკოლის ეზოში დგას საქვაბე. სკოლა შენობას ფლობს უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე. სკოლაში არის 14 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისგან. ვიზიტის პროცესში ბიბლიოთეკაში განთავსებული იყო მოსწავლეთა მიერ დაბრუნებული სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკარის განმარტებით სასწავლო პროცესის დაწყების დროს, როცა სახელმძღვანელოები გაიცემა მოსწავლეებზე ბიბლიოთეკაში რჩება ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი. ასევე ბიბლიოთეკაში არის დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლის შენობაში განთავსებულია ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის სამუშაო ოთახები, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სასადილო ფართი, კომპიუტერული ლაბორატორია, მანდატურის ოთახი. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები- ცალკე ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის რომელიც აღჭურვილია თვალსაჩინოებითა და საჭირო რესურსებით, ლაბორატორიების არჭურვილობა თვალსჩინოებები და ხელსაწყოები არის ძველი თუმცა კარგად შენახული, რომელიც გამოყენებაშია. შენახულია და დაცულია მოსწავლეთა ნამუშევრები, გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესები. მატერიალური რესურსების მართვა ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ინვენტარიზაცია დაწესებულების რესურსების რეგულარული აღრიცხვის, შეფასებისა და განვითარების მიზნით. ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით განსაზღვრავს მოსწავლეთა სავარაუდო ზღვრულ რაოდენობას. სკოლის საკუთრებაში

არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლას ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს მატერიალური რესურსის შესაძენი თანხები სკოლის ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლა 2024 წლის სექტემბერში დაბრუნდა საკუთარ რეაბილიტირებულ შენობაში. რეაბილიტაცია განახორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით. სახელმწიფოსა და სკოლას შორის ჯერ არაა გფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი. შესაბამისად სკოლას არ აქვს შენობის აზომვითი ნახაზი და სკოლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან არის ძველი და საჭიროებს განახლებას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.07.2025-09.07.2026. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვი

სკოლაში, ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისათვის. სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, როგორც მოსწავლეებს, ამასთანავე მასწავლებლებს, შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით, ასევე იმ საკლასო ოთახებით, რომელიც სკოლაში მდებარეობს. პედაგოგები იყენებენ სამასწავლებლოს საკუთარი იდეების, ინიციატივების წარმოდგენისა და რეალიზებისათვის. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკითა და მისი წიგნადი ფონდით, ამასთანავე, სკოლის მატერიალური ბაზითა და გარე სპორტული მოედნით. სკოლაში მოქმედებს როგორც კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე, ბიბლიოთეკა. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გამოიყენოს არსებული რესურსი. სკოლაში ასევე მოწყობილია რესურს-ოთახი. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას არსებულ რესურსებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდს შეადგენს, როგორც მხატვრულ ლიტერატურა და ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეული სახელმძღვანელოები. წიგნები სრულად დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით - ბეჭდითა და საინვენტარო ნომრებით სათანადო გვერდზე. ისინი დალაგებულია ანბანურად. სკოლას აქვს საინვენტარო ჩანაწერების წიგნი და ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. მკითხველებისთვის შექმნილია ფორმულარები. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას სკოლის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად. ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანას წარმოადგენს სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა. ამ ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მკითხველთა დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით, ქმნის სამუშაო გარემოს თანამშრომელთა და მოსწავლეებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა ხელმისაწვდომი და შეუზღუდავია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლა ზრუნავს ინკლუზიური გარემოს ფორმირებით ხელი შეუწყოს არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, ყველას თანაბარ მონაწილეობას. სკოლის შენობაში შესასვლელად შშმ პირებისთვის არის როგორც პანდუსი, ასევე ლიფტი. ლიფტითვე შეუძლია გადაადგილება ეტლით მოსარგებლე პირს სკოლის სართულებს შორის და სპორტულ დარბაზში ჩასასვლელად. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლაში დასაქმებულია ორი სპეციალური მასწავლებელი, სსსმ და შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი არის ყველა სერვისი.

საკლასო ოთახები, სკოლის ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, დარბაზი საშუალებას აძლევს თითოეულ პედაგოგს დიფერენცირებული მიდგომით წარმართოს სასწავლო პროცესი და დიფერენცირება მოახდინოს როგორც გარემოს, ასევე პროცესის დონეზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს ეზო, ბიბლიოთეკა, ფოიე, რეკრეაციული სივრცეები და

გარე სპორტული მოედანი, სადაც იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიება. სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. ბიბლიოთეკის სივრცეში ეწყობა პროექტები. დამრიგებლებთან გასაუბრებით და მათ მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებით, პროექტებით დასტურდება, რომ სკოლა ხელს უწყობს შემოქმედებითი და პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. ბიბლიოთეკით სარგებლობის;
3. ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
4. საინვენტარიზაციო მასალები.
5. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ არის გამართული. კერძოდ, ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის შენობაში ნაწილობრივ იყო ინტერნეტი. ეს მასწავლებლებს საშუალებას არ აძლევს სასწავლო პროცესი წარმართონ სრულფასოვნად, ხარვეზების გარეშე. სამასწავლებლო აღჭურვილია კომპიუტერებით. კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი - აღჭურვილია ტექნიკით. პარალელურად ხელმისაწვდომია პროექტორები, რომლებსაც მასწავლებლები მოიხმარენ ნებისმიერ საკლასო ოთახში. სკოლა სარგებლობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით eflow და eschool, ასევე აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge რომელსაც იყენებენ როგორც მასწავლებლებთან ან სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობისათვის. სკოლას აქვს 52ლეპტოპი, 8 პერსონალური კომპიუტერი, 5 პროექტორი , 6 პრინტერი, საგნობრივი კათედრები აღჭურვილია ლეპტოპებით, საზიარო სივრცეებიმოწყობილია მოწყობა სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლის შენობა არ არის სრულად დაფარული ინტერნეტით. ინტერნეტთან წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციის, ბუღალტერიის, სამასწავლებლოსა და კომპიუტერულ ლაბორატორიაში.

რჩევა: სასურველია სკოლამ იზრუნოს, რომ სკოლის შენობაში ინტერნეტი სრულად იყოს ხელმისაწვდომი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

.სკოლაში შემუშავებულია მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებული პირებისათვის. მასწავლებლებს ან მოსწავლეებს, რომელთაც არ აქვთ სახლში შესაბამისი მოწყობილობები, შეუძლიათ სკოლაში არსებული მოწყობილობებით სარგებლობა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ხშირად ტარდება სხვადასხვა ტიპის შეხვედრები, ონლაინ ჩართვები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;

2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
3. მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი.
4. სკოლის ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი," რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის N2-197 ბრძანებით. წესის მიზანია მიზანია სკოლაში დოკუმენტბრუნვის სისტემის სრულყოფა, ამ პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება/დანერგვა საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. სკოლაში იწარმოება ბრძანებების სარეგისტრაციო და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. სკოლას აქვს სრულყოფილი ელექტრონული გვერდი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool. სკოლა კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან ანგარიშების წარდგენას. მასწავლებელთან და პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.. განცხადებები მიიღება მხოლოდ უფლებამოსილი პირებისგან. შემოსული და გასული დოკუმენტაციის წარმოება ხდება eflow -ს სისტემით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს როგორც სისტემის შიდა (Eflow, eSchool-ის ერთიანი ბაზა), ისე გარე საკომუნიკაციო საშუალებებს (მაგ.Google). eSchool-ს სისტემის მეშვეობით, ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. სისტემა ასევე ასახავს სკოლის შესახებ ძირითად ინფორმაციას, აგრეთვე სკოლაში დასაქმებული პერსონალის მონაცემებს, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემებსა და საკონტაქტო ინფორმაციებს. ასევე ასახულია სკოლის მიერ კლასების მიხედვით შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესში. eSchool-ის ბაზაში არის ასევე ასახული სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში ბაზაში ხდება სამეურვეო საბჭოს წევრების ცვლილება, ასევე საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმება. ზოგიერთი ინფორმაცია და დოკუმენტი მიიღება აგრეთვე სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე

mes.gov.ge. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება ბმულზე registration.emis.ge სკოლას ასევე აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

eSchool.emis.ge-ზე სკოლას აქვს საკუთარი პროფილი. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. აქვეა განთავსებული მასწავლებლების, მოსწავლეები, სახელმძღვანელოების ბაზები. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია და ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეციალური მასწავლებელი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც არის სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სხვადასხვა უწყებებთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა დროულად და დაუყოვნებლივ აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, თანამშრომლობს მათთან და ამისათვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრსა და საქართველოს პრეზიდენტს. გარდა ამისა, ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტისა და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ'' ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორს ეკისრება ვალდებულება ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგინოს და გააცნოს ანგარიში ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
3. დირექტორის ანგარიში.
4. ერთიანი ელექტრონული სისტემა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლას აქვს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებგვერდი. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ. საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს ვებგვერდს, სოციალურ გვერდს, თიმსის პლატფორმას, საინფორმაციო დაფას. ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან საკომუნიკაციოდ სკოლა იყენებს მესენჯერსა და სატელეფონო საუბრებს. სკოლის Facebook გვერდზე მუდმივად ზიარდება სასკოლო ცხოვრების წარმატებული მაგალითები: ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლის წარმატება, აქტივობების ამსახველი ინფორმაცია. მშობლებთან კომუნიკაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის ინფორმირების წესი სადაც დეტალურადაა გაწერილი მშობლებთან ურთიერთობის ფორმა და წესი. გარდა ამისა, ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე. სასკოლო სიახლები, ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, იყენებს სადამრიგებლო საათებს, მშობელთა კრებებს, სოციალურ გვერდს, მესენჯერ ჩათებს, სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდს. წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შესაძლოა ითქვას, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლას აქვს კარგი გამოცდილება საზოგადოებასთან კომუნიკაციის და მისი უკუკავშირის პროგრესისთვის გამოყენებისთვის. იგი საკუთარი ინიციატივითაც ატარებს კვლევებს საზოგადოებრის, სასკოლო საზოგადოების, თემის განწყობისა და საჭიროებების დასადგგენად. ასევე სკოლისთვის მნიშვნელოვანია მათ მიერგაწეული სამუშაოების თუ სასკოლო რეგულაციების ამსახველ საჯაროდ განთავსებულ ინფორმაციაზე უკუკავშირი. რომელსაც შესსწავლისა და ანალიზის საფუძველზე იყენებს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის მიერ შექმნილი ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

ექსპერტების მხრიდან მოხდა სკოლის ვებ- გვერდის შესწავლა და შედეგად დადასტურდა,რომ ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, შინაგანაწესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობლისთვის ინფორაციის მიწოდების წესი
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
3. სკოლის ვებგვერდი.

4. გასაუბრება.
5. საქმისწარმოებისწესი.
6. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის, სკოლის ექიმის თანამდებობრივი სარგოს, სსსმ მოსწავლის დაფინანსებას. ამ ეტაპზე არ აქვს, მაგრამ გეგმავს ჰქონდეს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. სკოლის ფინანსები გამოიყენება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და მიემართება სკოლის განვითარებისკენ, მათ შორის ინფრასტრუქტურის, მასწავლებელთა პროფესიული და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისა და განვითარებისაკენ. სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან გასაუბრებით, წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას შეუძლია დააფინანსოს სკოლის მოსწავლეთა საჭიროებები და დაგეგმილი ღონისძიებები. სკოლა ფინანსურად მდგრადია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სკოლის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აბარებს სკოლის სამეურვეო საბჭოს 10 დეკემბრამდე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. მონიტორინგის საშუალებას კი იძლევა სპეციალური ფორმები, რომლებსაც სკოლის ბუღალტერი ადგენს ყოველი თვის ბოლოს. მასში მოცემულია ის შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც სკოლას ჰქონდა კონკრეტულ თვეში. აღნიშნული ფორმა ივსებოდა სკოლის საბანკო ამონაწერიდან, ამ ეტაპზე სკოლა ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებს სახელწიფო ხაზინასთან თანამშრომლობით. ეს გამორიცხავს ნებისმიერ შეცდომას ან ხარვეზს ფინანსების მიზნობრივად განკარგვისას. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აორგანიზებს შეხვედრებს სამეურვეო საბჭოსთან, კათედრის ხელმძღვანელებთან, პედაგოგიური საბჭოსთან, თვითმართველობასთან და ტექნიკურ პერსონალთან და თუ რა ესაჭიროებათ სამუშაო გეგმის შესასრულებლად. სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი მოიცავს წლიური სამოქმედო გეგმის, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის და წლიური ბიუჯეტის შედგენას. სამოქმედო გეგმას სკოლა შეიმუშავებს სასწავლო წლის დასაწყისში. შესყიდვების წლიურ გეგმას სკოლა შეიმუშავებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით ყოველი წლის 20 ნოემბრამდე, წლიურ ბიუჯეტს კი შეიმუშავებს ფინანსური წლის ბოლომდე. შესაბამისად, ფინანსური დაგეგმვის პროცესში სკოლა ახდენს აღნიშნული დოკუმენტების კორელაციას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტი;
2. წლიური ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი;
3. ბრძანება 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი.
5. ინვენტარიზაციის მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლაში მოსწაველთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი შიდა რეგულაციებით, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის N 2-199 ბრძანება მოსწავლისა და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებების დოკუმენტის შექმის შესახებ, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვ. შინაგანაწესში დეტალურადაა საუბარი მოსწავლის უფლებებსა და მოვალეობებზე. ხოლო დოკუმენტი ,,მოსწავლისა და მეურვის კანონიერი უფლებები'' აღწერს როგორც მოსწავლის ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებებს. აღნიშნული დოკუმენტი შედგება შემდეგი მუხლებისგან: მუხლი 1. ზოგადი დებულებები; მუხლი 2. მოსწავლისა და მისი მეურვის კანონიერი უფლებები; მუხლი 3. სკოლის შინაგანაწესი; მუხლი 4. სასკოლო სასწავლო გეგმა; მუხლი 5. სხვა უფლებები; მუხლი 6. სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება. მოსწავლისა და კანონიერი წარმომადგენლის უფლებები, ასევე დეტალურადაა გაწერილი ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. მოსწავლეთა უფლებების დაცვას ემსახურება დოკუმენტი ,,ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია''. სკოლას შემუშავებული აქვს სხვა მრავალი დოკუმენტი, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების დაცვას. ისეთი, როგორიცაა მაგალითად რემედიაციის წესი, ტრანზიციის წესი და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლეთა უფლებების დაცვის მნივნელოვანი რეგულაცია სკოლის შინაგანაწესი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და გაზიარებულია მათ მიერ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სკოლას სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) აბსოლუტური თანხმობით შინაგანაწესსით დამტკიცებული აქვს სასკოლო ფორმა. აღნიშნული და წინა ინდიკატორში ჩამოთვლილი სხვა რეგულაციები სკოლას განთავსებული აქვს როგორც ვებ გვერდზე, ასევე, სკოლის შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ პირველსავე შეხვედრაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შედგება შემდეგი მუხლებისგან: 1.ზოგადი დებულება; 2.ხელშეკრულების საგანი; 3.ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები; 4. პასუხისმგებლობა; 5.ხელსეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები; 6.სხვა პირობები; 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. თითოეული მუხლი მკაფიოდ და დეტალურად აღწერს შინაარსს, რაზედაც თანხმობას ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
3. სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის N 2-199 ბრძანება მოსწავლისა და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. რემედიაციის წესი;
6. ტრანზიციის წესი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის N 2-198 ბრძანებით სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნულ წესი შედგება 5 თავისა და 17 მუხლისაგან. პირველი თავი ეხება სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვას, მეორე თავი - სტატუსის შეჩერებას, მესამე - სტატუსის აღდგენას, მეოთხე -ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობას, მეხუთე - კლასისა და საფეხურის დაძლევას. აღნიშნულიდან ჩანს, რომ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი ინდიკატორით მოთხოვნილი მექანიზმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის მიერ დადგენილი ვადებისა და ეტაპების მიხედვით. სკოლაში მობილობა ხორციელდება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებისა და სკოლის შიდა რეგულაციის დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის ბრძანება N 2-198 მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს განსაზღვრული ფასიანი დამატებითი მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები. სკოლის დირექტორის განმარტებით ელოდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვიტარების სააგენტოდან შესაბამის აღჭურვილობას და მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს იჯარის წესით გასცეს ფართი სასკოლო ბუფეტისთვის. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ყველა ინფორმაცია სასკოლო მომსახურების შესახებ მშობლებს მიეწოდებათ მშობელთა კრებებზე და დახურულ სოციალურ ჯგუფებში, ასევე ეს ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფებზე, გარდა ამისა სკოლას ჰყავს აქტიური თვითმმართველობა და სამოქალაქო განათლების კლუბი,

რომლებიც პერიოდულად აწყობენ შეხვედრებს მოსწავლეებისათვის, სადაც ხდება ინფორმაციის მიწოდება და ასევე მოსწავლეებისგან სხვადასხვა სახის მოთხოვნებისა თუ საჭიროებების მოსმენა, განსასღვრა და შესაბამის სტრუქტურებთან კომუნიკაცია საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება განთავსებული იყოს საინფორმაციო დაფებზე, ვებგვერდზე ან სოციალურ მედიაში სრულად შეესაბამება კანონმდებლობას. არადისკრიმინაციულია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინეტრესებული მხარისათვის. კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით სკოლას აქვს შეთანხმება, როგორც სკოლის პერსონალთან, ასევე, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პერსონალური ინფორმაციის გამოყენების შესახებ. სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები,რომელთა აქტიურობით ხორციელდება პროექტები, აქტივობები, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ როგორც დახურული სოციალური ჯგუფების, კლასის ხელმძღვანელების თუ პირდაპირი კომუნიკაციის, ასევე სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის საშუალებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის N 2-198 ბრძანება მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
2. მშობლებტან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრების ჩანაწერები
3. თვითმმართველობის დებულება/ სამუშაო გეგმა
4. სამოქალაქო კლუბის სამმუშაო გეგმა
5. მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა თანხმობები
6. სოციალურ მედიაში სკოლის გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლამ წარმოადგინა ტრანზიციის დებულება, რომელშიც მოკლედ მიმოხილულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებასთან ადაპტაციის მნიშვნელოვანი ფაქტორები.

ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუირებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ადაპტაციისთვის სკოლას მართლაც არაერთი ნაბიჯი აქვს გადადგმული: სწავლის დაწყებამდე მოსწავლეები ეცნობიან სასწავლო გარემოს. სასკოლო გარემოსთან ადაპტაციისთვის სკოლას გამოყოფილი ჰყავს სკოლის დამრიგებლები. სკოლის გარემო ადაპტირებულია, ასევე დამონტაჟებულია ლიფტი.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, ცვლილება შევიდეს ტრანზიციის დებულებაში და დაკონკრეტდეს წარმატებული ადაპტაციისა და დეზაპტაციის ნიშნები და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან:

ახალ სასწავლო წელს პირველკლასელების მისაღებად სკოლა ატარებს ღონისძიებას. სკოლა თანამშრომლობს ახლომდებარე საბავშვო ბაღებთან. დამრიგებელი გადმომსვლელ მოსწავლეებს უქმნის პოზიტიურ გარემოს, აცნობს ახალ კლასს და საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას აძლევს. ახალ მოსწავლეს სკოლაში თანატოლებიც უწევენ მეგზურობას, რაც აადვილებს მის ადაპტაციას კლასთან და სკოლასთან.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის წესი.რემედიაციის პროცესი გულისხმობს დამატებით მხარდაჭერას მოსწავლეებისათვის, რომლებმაც სტანდარტული საკლასო რეჟიმით ვერ შეისწავლეს ძირითადი საგნობრივი ცნებები და ვერ განივითარეს უნარ-ჩვევები დამაკმაყოფილებელ დონეზე. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუირებამ ცხადყო, რომ რემედიაცია სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლაში მოიაზრებს სწავლა-სწავლების პროცესში ხარვეზების აღმოფხვრაზე ორიენტირებულ მიდგომას. სარემედიაციო დახმარებას პედაგოგები იწყებენ მაშინ, როცა დიფერენცირებული მიდგომებით ვერ ხერხდება კონკრეტულ მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური უნარების განვითარება.

ამ ეტაპზე სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული არ აქვს წლიური გამოცდები. მართალია, წელს არ ჰყოლიათ არც სემესტრული ნიშნის ამაღლების, საშემოდგომო გამოცდისა და გაცდენების ექსტერნის ფორმით ჩაბარების მსურველი მოსწავლეები და შესაბამისი კონსულტაციები ამ მიმართულებით არ გაუწევიათ, თუმცა სკოლას აქვს საშემოდგომო, სემესტრული ნიშნის ამაღლებისა და გაცდენების გამო ექსტერნის დროს მოსწავლეთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის დიდი გამოცდილება.2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში სკოლას მოაზრებული ჰქონდა სადიაგნსოტიკო წერების ჩატარება (მუხლი 1.7). მიმდინარე წლის ბოლოს სკოლამ მართლაც ყველა ძირითად საგანში ჩაატარა სადიაგნოსტიკო წერა. ასევე სკოლას დიდი გამოცდილება აქვს კომპლექსური დავალებების წარმართვის, რაც მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასებისა და მხარდაჭერის ნათელი მაგალითია. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით ხდება სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართული მოსწავლეების წახალისება, მათი დაჯილდოება სიგელებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა მოსწავლეებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას: თვითმართველობის და, ზოგადად, მოსწავლეთა მიმართვის საფუძველზე ურთიერთთანამშრომლობს სხვადასხვა რგოლთან და გასცემს შესაბამის სიტყვიერ თუ წერილობით მოთხოვნას.

საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას/ დახასიათება/რეკომენდაციას/ნიშნების ფურცელს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა

ინიციატივების მხარდაჭერას. ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სკოლას ჰყავს აქტიური თვითმართველობა, რომლის მიმართვის საფუძველზე სკოლა მუდამ მზადაა მათი ინიციატივების მხარდასაჭერად მიიღოს შესაბამისი ზომები. სკოლას აქვს „სამოქალაქო კლუბი“, რომელიც ყოველწლიურად მონაწილეობს არაერთ პროექტში. მაგალითად: - პროექტი სახელწოდებით „ქართული, ამერიკული და იტალიური სამზარეულო ქველმოქმედებისთვის (ინტეგრირება მოქალაქეობა - ინგლისური), პროექტი სახელწოდებით „მდგრადი მომავლისკენ“ , ინტეგრირებული პროექტი დაწყებით კლასში ჯანსაღი ცხოვრების თემატიკაზე სახელწოდებით „ჯანსაღი არჩევანი“, კონფერენცია თემაზე „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები გაეროს ყველაზე ამბიციური პროექტი და შრომითი მიგრაციის საფრთხეები“, პროექტი თემაზე „დემოკრატიული სკოლა, დემოკრატიული სახელმწიფოს გარანტია“, პროექტი მედიაწიგნიერების თემაზე სახელწოდებით “ციფრულ სამყაროსა და რეალობას შორის“, პროექტი კონფლიქტების თემაზე სახელწოდებით „კონფლიქტების მართვა - გზა მშვიდობიანი თანაცხოვრებისკენ“და მრავალი სხვა. გარდა ამისა, სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს: მე-4 კლასის ბოლოს არჩევანს 2 უცხოურ ენას შორის: გერმანულსა და რუსულს შორის. (ექსპერტები ადგილზე ვიზიტის დროს გაეცვნენ შესაბამის ოქმებს). სკოლა საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს მესამე უცხო ენას (გერმანული ენა). X-XII კლასის მოსწავლეებისთვის კი შეთავაზებულია მოსწავლეთა ინტერესებისა და საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში არჩევითი საგნები. X-XI კლასებში მოსწავლეები არჩევანს აკეთებენ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის პროექტებს შორის. ადგილზე ვიზიტის დროს კათედრების წარმომადგენლებმა გაიხსენეს არაერთი ინიციატივა, რომლის მხარდაჭერა სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან მოხდა: სკოლის ეზოში გაშენდა ნაძვნარი. მოსწავლეთა ინიციატივით ეწყობა სასკოლო ექსკურსიები, ლაშქრობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

მასწავლებლები მოსწავლეებისგან, მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან იღებენ უკუკავშირს ცალკეული აქტივობის, გაკვეთილის, ან მთლიანი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. მიღებულ უკუკავშირს სკოლა აანალიზებს და იყენებს დახვეწის/ხარისხის გაზრდის მიზნით. კერძოდ, ყოველწლიურად ზრდის კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობას და ინტეგრირებულ პროექტებს. მაგალითად, სასამართლო პროცესი პროექტის "ანტონიო სალიერი საიმპერატორო კარის კომპოზიტორი თუ ნიღაბს ამოფარებული მკვლელი" ფარგლებში. პროექტი ,,დემოკრატიული სკოლა დემოკრატიული სახელმწიფოს საძირკველია",პროექტი "ქალები წარსულიდან და თანამედროვეობიდან" და ა.შ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ტრანზიციის დებულება
2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2024-2025 სასწ.წ. სამოქმედო გეგმა
მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხო ენის არჩევასთან დაკავშირებით

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლისა და ექსპერტთა ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ შეისწავლეს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება გათვალისიწინებულია. კერძოდ, ერთწლიან სამოქმედო გეგმის N5 სტრატეგიული მიზნის შესაბამისად, სკოლას სხვადასხვა პროფესიულ კოლეჯთან და უმაღლეს სასწავლებელთან გაფორმებული აქვს მემორანდუმი, რომლის საფუძველზე ახორციელებს მოსწავლეებისთვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, მომდევნო 2025-2026 სასწავლი წლისთვის სკოლამ შეისწავლოს კურსდამთავრებულთა სტატისტიკა, იკვლიოს საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ინტერესები და ამგვარად შესთავაზოს კარიერული დაგეგმვის კუთხით კონკრეტული ღია კარის დღეები თუ საინფორმაციო შეხვედრები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა მოსწავლეებს დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების საშუალებით აწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლა ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტების წარმომადგენლების, სხვადასხვა პროფესიის პირების შეხვედრებს, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლის თანამშრომლებმა ისაუბრეს თავდაცვის სამინისტროს პროექტის ფარგლებში საგნის "სამხედრო საქმე" სწავლების თაობაზე, რომლის მიზანია მოსწავლეებს გააცნონ სამხედრო საქმის საფუძვლები; მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ; მოსწავლეს გამოუმუშავონ საგანგებო ვითარებაში

უსაფრთხო ქცევის, თვითგადარჩენისა და სხვისი დახმარების უნარ-ჩვევები. აღნიშნული პროექტი, პირველ რიგში, გულისხმობს ახალგაზრდებში სამხედრო-სამოქალაქო ცნობიერებისა და პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა პერიოდულად მონიტორინგს უწევს და აფასებს გაწეულ მომსახურებას.

ინტერვიუირების დროს სკოლის პედაგოგებმა და ადმინისტრაციამ ისაუბრეს, რომ კურსდამთავრებულთა სტატისტიკის კვლევა (რამდენმა ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში, როგორი თანადაფინანსება მიიღეს სახელმწიფოს მხრიდან, რამდენმა გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება პროფესიულ სასწავლებელში.) მათ დაეხმარება აღნიშნული მომსახურების ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზარდონ:

მიღებულ ინფორაციას სკოლა გაითვალისწინებს საკუთარი მოსწავლეებისთვის მომსახურების შეთავაზების დროს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2. სადამრიგებლო პროგრამები
3. მემორანდუმები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა არეგულირებს ინკლუზიური განათლების საკით-ხებს, განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მიმართულებას.

სკოლას შემუშავებული აქვს: ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ინტერვენციის გეგმა. ასევე სკოლას ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი ჰყავს შექმნილი.სკოლაში სსსმ მქონე მოსწავლეთა ადაპტირებისათვის შესაფერისი გარემოა. პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი. რესურსოთახისთვის

ცალკეა გამოყოფილი კომპიუტერი და პრინტერი. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, ხელმისაწვდომია თავისუფალი გადაადგილება პანდუსებისა და ლიფტის მეშვეობით. სკოლაში ირიცხება 9 სსსმ მოსწავლე. ინტერვიუირების დროს გამოჩნდა, რომ მეზობელი თემიდანაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები N5 საჯარო სკოლაში შეჰყავთ, ვინაიდან არსებული გუნდისადმი ნდობა დიდია.სპეციალური მასწავლებლე ბი ზრუნავენ მოსწავლეთა, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებასა და მიმღებლობის უნარის განვითარებაზე. ინტერვიუირების დროს სპეციალურმა მასწავლებელმა დაასახელა რამდენიმე მაგალითი, როდესაც სხვადასხვა პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართულები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. დირექტორს ბრძანებით ჰყავს დამტკიცებული ისგ ჯგუფი, რომელიც წლის მანძილზე 4-ჯერ შეიკრიბა და თითოეული შეხვედრა დაოქმდა. სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. შიდა მონიტორინგის ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს შეაჯამა ინკლუზიური განათლების კუთხით წარმართული საქმიანობა. დასკვნაში დეტალური ინფორმაციაა მოცემული მთელი წლის მანძილზე ინკლუზიური განათლების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე:

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლა ინდივიდუალურ გეგმების შემუშავებით, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულია მოსწავლის მშობელი, რაც ხელს უწყობს საჭიროებების უკეთ განსაზღვრას. სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ის საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს სპეციალური მასწავლებელი სასწავლო წლის განმავლობაში. იქმნება ისგ ჯგუფები უკვე შეფასებული სსსმ მოსწავლეთათვის, რომელშიც შედის სსსმ მოსწავლის მშობელი და ყველა ის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის კონკრეტულ მოსწავლეს. ისგ ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება მინიმუმ 4- ჯერ. შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო მიზნები.

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტებმა ადგილზევე გადაამოწმეს ინკლუზიური განათლების კუთხით წარმართული საქმინაობა; შეისწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სხდომის ოქმები, სპეციალური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
2. სპეციაური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა
3. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
5. ისგ ჯგუფის ოქმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა მიმდინარე სასწავლო წელს დაუბრუნდა განახლებულ, რეაბილიტირებულ სასკოლო გარემოს. დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებიდან ის მხოლოდ ტრანსპორტირების მომსხარურებას უწევდა მოსწავლეებს. ტრანსპორტირება ხორციელდებოდა შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე. სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის ბუფეტის მომსახურების შეთავაზებას. ამ ეტაპზე სხვა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, როგორიცაა გახანგრძლივებული სწავლება, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვ., სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

ამ ეტაპზე განხორციელებული არასავალდებულო ხასიათის მომსახურება მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრონციპის დაცვით. მომავალი 2025-2026 სასწავლო წლიდან, სკოლა გეგმავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იჯარით გასცეს ფართი სასკოლო ბუფეტისთვის და აღნიშნული მომსახურებაც რათქმაუნდა იქნება ნებაყოფლობითი, კოლეგიალურ ორგანოსთან შეთანხმებული და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

ტრანსპორტირების სერვისი სკოლისთვის შეთავაზებულია მუნიციპალიტეტის მიერ და რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამ მიმართულებით სკოლას არ აქვს ვალდებულება რეგულაციების დაწესების. თუმცა მომსახურებას უწევს მონიტორინგს. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ადგენს ტრანსპორტით მომსახურების საჭიროების დეტალებს და აწვდის შესაბამის სტრუქტურებს. სკოლის მიერ გაწეული ნებისმიერი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით. მაგალითად, სასწავლო ექსკურსიის მოწყობისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ტრანსპორტის ტაბელები
2. ბრძანება ექსკურსიის შესახებ
3. ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

დანართი №5

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ოთხ ფაზას:

ა) კურიკულუმის შემუშავება,

ბ) დანერგვა,

გ) მონიტორინგი და შეფასება,

დ) გადასინჯვა და რევიზია.

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის აგების, დანერგვისა და განვითარების პრინციპები, ხოლო კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები.

დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუირებით გადამოწმდა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის ყველა მასწავლებელი, ყველა კათედრა. სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის კურიკულუმი წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების - მოსწავლის, დირექციისა და მშობელთა ერთგვარ შეთანხმებას სკოლის ტრადიციებისა და პრიორიტეტების წინ წამოწევით. მშობელთა ჩართულობისთვის სოციალურ ქსელში

შექმნილია მშობელთა ჯგუფები, სკოლის ფეისბუქ გვერდი, რომლითაც ხდება მათი ინფორმირება და სასკოლო კურიკულუმის გაცნობა, უკუკავშირების მიღება; მშობელთა საერთო და კლასის კრებების წარმართვა და ა.შ.

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს და უზიარებდნენ არსებულ გამოცდილებას.

ინდიკატორი 2.1.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. როგორც მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება.

საგნის მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც კათედრის შიგნით, ასევე კათედრებს შორის და ითვალისწინებენ საკუთარ და ერთმანეთის გამოცდილებას, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს. ამასთან, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლე მოიაზრება სასწავლო პროცესის მთავარ სუბიექტად. შერჩეული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. მშობელთა ინფორმირება და მათი ხედვის გათვალისწინება ხდება სოციალურ ქსელში შექმნილი მშობელთა ჯგუფებითა და სკოლის ფეისბუქ გვერდით.

ინდიკატორი 2.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ჩართული მხარეების - სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კერძოდ, განსაზღვრულია მასწავლებლების, საგნობრივი კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები. საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუირების დროს დადასტურდა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. მასწავლებლები ერთობლივად ადგენენ კომპლექსურ დავალებებს, სასწავლო რესურსებს, შეფასების კრიტერიუმებს. გზადაგზა შეაქვთ ცვლილებები კლასის და მოსწავლეთა ინტერესებიდან/შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს განიხილავენ თითოეული კლასის/მოსწავლის გასული სასწავლო წლის მიღწევებს, მსჯელობენ მიღებულ შედეგებზე და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას კურიკულუმის განვითარების მიზნით.

ინდიკატორი 2.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ხელმისაწვდომობას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი საგნების მასწავლებლებისა და დამრიგებლების დახმარებით: კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, რესურსები, შეფასების კრიტერიუმები ეცნობებათ მშობლებს მშობელთა კრებებზე. ცვლილებები, მნიშვნელოვანი სიახლეები, თუ გადასაწყვეტი საკითხები სოციალური შიდა ჯგუფების მეშვეობით მიეწოდება მშობლებს და უკუკავშირის მიღებაც ამ გზით ხდება. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ემსახურება სკოლის საინფორმაციო დაფა, სასკოლო ღონისძიებები და ა.შ.

ინდიკატორი 2.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

საგნობრივი კურიკულუმები

1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები სრულიად შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტს. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები, მასწავლებლების ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაცია და მოსწავლეების მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები ადასტურებს, რომ სწავლა-სწავლება მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზეა მორგებული. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს სწავლებაში. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და გამოწვევები , რაც საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს მაღალი სააზროვნო უნარები განუვითარდეს.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებულ კურიკუკუმებში სამივე საფეხურზე ჩანს, რომ მოსწავლეზეა ორიენტირებული. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისუბრეს რომ ცდილობენ წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიაწოდონ ახალი მასალა მოსწავლებას, დაგეგმონ სხვადასხვა საინტერესო და მოსწავლეებზე მორგებული აქტივობები, რაც მოსწავლებს საშუალებას აძლებს განუვითარდეთ შემოქმედებითი და კრიტიკული უნარები. სკოლის დოკუმენტებით დასტურდება, რომ მოსწავლები აქტიურად იყვნენ ჩართულები პროექტში და საინტერესო შემოქმედებითი პროდუქტები შექმნეს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების სამივე საფეხურისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები ადაპტირებულია მოსწავლეზე, რაც გულისხმობს მათი საჭიროებების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას. სასწავლო თემები შერჩეულია ისე, რომ შეესაბამებოდეს სკოლაში არსებული რესურსებისა და სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს, რითაც უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართულობა და ენობრივი უნარების თანმიმდევრული განვითარება. კურიკულუმი ეფუძნება თანამედროვე, კომუნიკაციურ მიდგომას და ორიენტირებულია მოსწავლის როგორც ენის ფლობის, ისე კულტურული ცნობიერების ამაღლებაზე.. წარმოდგენილი კურიკულუმი სრულად შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და კურიკულუმი უზრუნველყოფს ენაზე დაფუძნებული სწავლების დინამიკურ და გრძელვადიან პროცესს, რომელიც მორგებულია თანამედროვე მოთხოვნებს. სასურველია, რომ კურიკულუმში და კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებული იყოს სსსმ მოსწავლეებზე მორგებული აქტივობები და ალტერნატიული დავალებები **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში და საშუალო საფეხურის პროექტებში შუალედური(საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული განხორციელებული კომპლექსურების ნიმუშებიდან და განხორციელების ეტაპების აქტივობებიდან გამომდინარე სადაც გამოკვეთილია, თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, შემიძლია დავასკვნა, რომ აღნიშნული **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმი სამივე საფეხურისთვის, სადაც გაწერილია სასწავლო თემები, საკითხები. ჩანს კავშირი გრძელვადიან მიზნებთან. ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მაგალითად, კათედრის წევრების შეხვედრა, მშობლებთან გასაუბრება. პედაგოგებთან ინტერვიუმ დააზუსტა, რომ მასწავლებლებმა შეთანხმებულად, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინებით იმუშავეს დოკუმენტზე. მათ აღნიშნეს, რომ პარალელური კლასის მასწავლებლებს განსხვავებული დავალებების იდეები ჰქონდათ, მაგრამ საბოლოოდ საერთო იდეაზე შეთანხმდნენ. ***რჩევა:*** *იმისათვის, რომ კურიკულუმში უფრო მეტად წარმოჩინდეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, სასურველია, დავალებების იდეები და აქტივობები იყოს უფრო მრავალფეროვანი, ჩანდეს, რომ მაგალითად, პარალელური კლასების მასწავლებლები ერთსა და იმავე თემაზე განსხვავებული მიდგომით მუშაობენ, შუალედური მიზნის მისაღწევ საშუალებებად განსხვავებულ გზებს სახავენ. შესაძლებელია, თემის გასწვრივ მოინიშნოს რამდენიმე დავალების იდეა და მიეთითოს, რომელი პარალელი მუშაობს მოცემულ საკითხზე.* **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც ესგ-ს შესაბამისად გაწერილია თემები, თემასთან დაკავშირებული საკითხები, სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, რომელთა გააზრებაც მოსწავლეზე ორიენტირებული შედეგის მიღწევის წინაპირობაა.ა. აღინიშნეს სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება, რაც აღნიშნული მიზნის მიღწევისს ერთ-ერთ საშუალება. თუმცა მე-3 კლასის კურიკულუმი საჭიროებს საკითხებისა და კონტექსტ მაგალითების შესაბამის სვეტებში გაწერას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ როგორ დააკავშირონ საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებთან, შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებად კათედრა განიხილავს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რაც ასევე ერთ-ერთ გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის.გარდა ამისა სკოლას გაწერილი და წარმოდგენილი აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. **რჩევა:** სასურველია თითოეულ კლასის კურიკულუმის ჩარჩოს თან დაურთოთ შუალედური დავალების პირობები (სასურველია ეტაპებად გაწერილი) კომპლექსური შესაბამისი, ცნებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურის კლასებისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე შერჩეულია სასწავლო თემები , რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ე.ს.გ. სტანდატებს). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	სკოლამ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მოამზადა და წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩო მეორედან მეექვსე კლასების ჩათვლით, რომელიც შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ის ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და პედაგოგთან ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა, რომ სკოლაში იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. წარმოჩინდა, რომ მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმოს სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინოს გრძელვადიან მიზნებზე და განსაზღვროს შედეგები . **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან, თუმცა ზოგიერთ საგანში გაიცა რჩევა იმასთან დაკავშირებით ,რომ თითოეულ თემაში მოხდეს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, დაემატოს კომპლექსური /შემოქმედებითი ტიპის დავალებების რაოდენობა და დაიხვეწოს კურიკულუმების სტრუქტურა . (მაგ : მე-3 კლასის მათემატიკის და ბუნებისმეტყველების პირველი კლასის კურიკულუმში კონტექსტმაგალითები და საკითხები შესაბამის სვეტებში არაა გაწერილი; ქართული ენის პირველ, მეორე და მესამე კლასის კურიკულუმებში კონტექსტმაგალითების სვეტში ჩამოთვლილია ძირითადი ტექსტები და ეს არ ჩანს სვეტის დასათაურებაში). **რჩევა :** ქართული ენის კურიკულუმებში საკითხთა კლასტერის ნაცვლად სასურველია მითითებული იყოს საკითხი, რაც თანხვედრაშია დავალების იდეასთანაც.მათი შეტანა ერთად, საკითხების სვეტში შეიძლება. ხოლო ძირითადი/დამხმარე ტექსტები და კონტექსტმაგალითები უნდა

	იყოს შეტანილი გრაფაში ტექსტი/ტექსტები. ***რჩევა**: სასურველია, კურიკულუმებში მხოლოდ შემოქმედებითი ბუნების დავალებები ეწეროს დავალებების სვეტში, ხოლო ჩვეულებრივი აქტივობები და სავარჯიშოები მატრიცებში მოინიშნონ.* ***რჩევა:** ბუნებისმეტყველების კურიკულუმში სავალდებულო თემები სწორად განისაზღვროს ყველა კლასში.* **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში წარმოდგენილი კურიკულუმები, სამივე საფეხურზე, შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. თითოეული მათგანი აგებულია სავალდებულო თემების შესაბამისად, გათვალისწინებულია მრავალფეროვანი აქტივობები, რათა მოსწავლეებმა დაფარონ ყველა სამიზნე ცნება და შესაბამისად გავიდნენ სტანდარტის მიხედვით გაწერილ შედეგზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან ინტერვიურების დროს დადგინდა , რომ სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (მოქალაქეობა, გეოგრაფია, ისტორია)

	მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და აგებულია სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს - ყველა სამიზნე ცნება. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ყველა სასწავლო თემაში დამუშავებულია ყველა სამიზნე ცნება. ***რჩევა:*** *სასურველია კონტექსტ მაგალითები შერჩეულ იქნას უფრო დაზუსტებით და კავშირში იყოს საკითხთა კლასტერთან.* **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ, როგორიცაა კომუნიკაციის უნარების განვითარება, კულტურული ცნობიერება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, აგრეთვე სწავლის უნარის ფორმირება. კურიკულუმი აგებულია ისე, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას, რაც მოიცავს უცხო ენაზე აზრის მკაფიო და ეფექტურად გამოხატვას, თანამშრომლობასა და კულტურათაშორის კომუნიკაციას. საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შერჩეული თემების განხორციელების პირობებში, პედაგოგები ყველა საფეხურზე შეძლებენ შედეგზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვას და ეროვნული მიზნების მიღწევას. **რჩევა:**კურიკულუმის შინაარსის დაგეგმვისას მიზანშეწონილია თითოეული აქტივობისა და თემის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებულ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებს, რათა სწავლება იყოს მიზანმიმართული და სტრუქტურირებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში და საშუალო საფეხურის პროექტებში შუალედური(საკითხები,თემები,შემოქმედებითი დავალებები) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული

	შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებიდან და განხორციელების საეტაპო აქტივობებიდან გამომდინარე, სადაც გამოკვეთილია, თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, შემიძლია დავასკვნა, რომ აღნიშნული **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სამივე საფეხურის კურიკულუმი მოიცავს ძირითად კომპონენტებს: სასწავლო თემას, სამიზნე ცნებებს, სასწავლო საკითხებს, რესურსებს. თვალსაჩინოა შინაარსობრივი კავშირი წარმოდგენილ კომპონენტებს შორის. ***რჩევა:*** *სასურველია, საკითხები ფორმულირდეს ისე, რომ მასში იკითხებოდეს არა ტექსტის სათაური(ან დავალების დასახელება), არამედ ის მთავარი ქვეცნებები, რომლებიც თემის ფარგლებში მუშავდება(მაგალითად, ნ. ლორთქიფანიძის ,,შელოცვა რადიოთი'' არის ტექსტი, ძირითადი რესურსი, ხოლო საკითხი - ნ.ლორთქიფანიძის ნაწარმოებში ,,შელოცვა რადიოთი'' წარმოჩენილი მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიული ვითარება'').* **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმი შედგენილია ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების, საკითხების/საკითხთა კლასტერის შესაბამისად. გაწერილია სამიზნე ცნებები/ქვეცნებები.. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ცალკეული კლასისთვის სკოლა წინა წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, შუალედური მიზნის მისაღწევად გეგმავს წლის განმავლობაში ორ-ორი კომპლექსური დავალების შესრულებას. წარმოდგენილია მე-9 კლასში უკვე განხორციელებული ერთი კომპლექსური ბუნების დავალება, ,,როგორ შევძლოთ სიტუაციური პრობლემის გადაჭრა არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიის ფორმულების გამოყენებით?''-მოსწავლეთა ნაშრომებით. კათედრის წევრებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება,

	როგორც განხორციელებული, ასევე მომავალში დაგეგმილი დავალებების შესრულება უზრუნველყოფს მოსწავლე ჩაერთოს კომუნიკაციაში, იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნის ან პრობლემის გადაჭრისას გამოამჟღავნოს შემოქმედებითობა, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი და რეფლექსია მის ხასიათსა და პიროვნებას აყალიბებს. **რჩევა**: მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მიზნით სასურველია მეტი ინტენსივობით დაიგეგმოს, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ასევე ინტეგრირებული შუალედური, შემოქმედებითი დავალებები. მიმართულებით კარგი გამოცდილებაა STEM პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	შემუშავებულია ისეთი საგნობრივი კურიკულუმი, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი, კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნების: ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები. სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებსა და ინდიკატორებს. ამის დასტურია ე.წ. კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტებით სწავლება. თუმცა, კურიკულუმებში წარმოდგენილია მცირე რაოდენობით შემოქმედებითი ტიპის დავალება. პედაგოგების ინტერვიუდან იკვეთება, რომ ისინი მომავალში გეგმავენ ამ ტიპის მუშაობის უფრო ფართოდ დანერგვას სწავლების პროცესში. **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული. იკვეთებოდეს კურიკულუმში, რომ ყველა სამიზნე ცნება მუშავდება თითოეულ თემაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების ყველა საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებული არის მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც შესაბამისობაშია მოსწავლეთა ინტერესებთან და ინდივიდუალურ საჭიროებებთან. კურიკულუმში გაწერილი და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სწავლებაში აქტიურად იყენებენ ლაბორატორიებს, როგორც სკოლის ბაზაზე არსებული რესურსებით, ასევე სწავლებაშია ონლაინ

	ლაბორატორიები - სიმულაციები. ვიდეოები შესაბამისი თემატიკით, მოსწავლეების საკუთარი ხელით დამზადებული რესურსები. - რესურსების ასეთი მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** - მოსწავლეები გადიან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილია მოსწვლის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ყველა მოსწავლეს შეუძლია თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი. სკოლის თვითშეფასების ფორმაში მოყვანილია მაგალითები, თუ როგორ ცდილობენ პედგოგები აღმოუჩინონ ყველა მოსწავლეს მხარდაჭერა, ყველა რესურსი რომელიც არის სკოლაში ხელმისაწვდომია მოსწავლებისათვის. სამივე საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგები ახორციელბენ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს. ასევე სკოლის ფოტო მასალიდან ჩანს რესურსები, რომლებსაც იყენებენ მოსწავლეები. ასეთი სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწვლების ფსიქო- ემოციურ განვითარებას. თანამშრობლობას და პიროვნულ განვითარებას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმის ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ თანამედროვე, მრავალფეროვან რესურსებს, მათ შორის დიგიტალურ, აუდიოვიზუალურ და ინტერაქტიულ მასალებს, რაც ზრდის სწავლის პროცესის მოტივაციასა და ეფექტიანობას. აქტიურად ხდება პროექტული სწავლების მეთოდის გამოყენება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, კრეატიულობასა და რეალურ ენობრივ კონტექსტში უნარების განვითარებას. სწავლების პროცესში ასევე გათვალისწინებულია ინტეგრაცია სხვა საგნებთან, რაც ამაღლებს საგნობრივ კავშირს, ამდიდრებს მოსწავლის გამოცდილებას და აძლიერებს უცხო ენაში კომუნიკაციური კომპეტენციის ჩამოყალიბებას.უცხო ენების კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო, ციფრული და ვიზუალური მასალები, მიზანმიმართულად არის შერჩეული სწავლის პროცესის ეფექტიანობის

	უზრუნველსაყოფად. ისინი ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს, ენობრივ საჭიროებებსა და ინტერესებს ის შედეგების მიღწევა და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ხარისხი.რაც დასტურდება წარმოდენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებით. **რჩევა:**სასურველია, სსსმ მოსწავლეთათვის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები იყოს კიდევ უფრო ინდივიდუალიზებული და დიფერენცირებული, რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ სწავლის შედეგების მიღწევას.ასევე სასურველია, კათედრამ საგნობრივი მიმართულებით წინასწარ განსაზღვროს რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რაც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის უკეთ დაგეგმვას, რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას და მოსწავლეთა სწავლაზე ორიენტირებულ აქტიურ ჩართულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში და საშუალო საფეხურის პროექტებში მითითებული რესურსებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული საეტაპო აქტივობებიდან და განხორციელებული შემოქმედებითი დავალებებიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს შეესაბამება. დაწყებით საფეხურზე შერჩეული დამატებითი სახალისო რესურსები ხელს უწყობს უფრო მეტ ჩართულობას, დადებითი განწყობის შექმნას. საბაზო და საშუალო საფეხურზე ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო.

	რჩევა: სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე, გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან ერთად, მიეთითოს ის დამატებითი რესურსებიც, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს მიმდინარეობისას გაამახვილეს ყურადღება(კლასგარეშე ლიტერატურა, დოკუმენტური ფილმები...). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში ცალკეული თემის ფარგლებში გაწერილი როგორც მატერიალური, ასევე ელ რესურსები შესაბამისობაშია სამიზნე ცნებასთან და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია სკოლამ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სწავლის მიზნების გათვალისწინებით მოსწავლეებს მათზე მორგებული კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზოს, რაც მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის დამადასტურებლად გვაქვს კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

ტექნოლოგიები	საგანში კომპიუტერულ ტექნოლოგიები წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, (school.emis.ge, code.org, scratch, office365 და სხვა), რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში უმეტესად ასახულია რესურსები, პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მათი გამოყენება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს მრავალფეროვან რესურსს: სახელმძღვანელოები, ტელესკოლის გაკვეთილები, ელექტრონული რესურსები. (იხ. წარმოდგენილი დოკუმენტები- კურიკულუმები, დანართები) **რჩევა**: სასურველია, რომ რესურსების ჩამონათვალი დაწყებით საფეხურზე კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ სკოლაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, სასწავლო პროცესი ინკლუზიურია. მოსწავლეებს აქვთ თავისუფლება მათივე საჭიროებების

	გათვალისწინებით დაფარონ ყველა სავალდებულო თემა თითოეულ საგანში და გავიდნენ სტანდარტის შედეგზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს .ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს . დავალების საბოლოო პრუდუქტის შესაქმნელად მოსწავლეებს მათივე ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, ეძლევათ თავისუფალი არჩევანის საშუალება სასურველი ფორმით წარმოადგინონ დავალების საბოლოო პროდუქტი (ესე, მაკეტი , პოსტერი, ნახატი და ა.შ.)**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს უცხო ენების სწავლებაში ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების განხორციელებას. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებები, ინტერესები და სწავლითი სტილები.მაგ.კომპლექსური დავალების და პროექტის განხორციელებისას. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში განსაზღვრულია ინდივიდუალური აქტივობების ვარიანტები, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. უცხო ენების პედაგოგებს აქვთ მზაობა საჭიროების შემთხვევაში სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე) მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და მათი ენობრივი უნარების განვითარებისთვის შესაბამისი ადაპტაციების გატარების. ეს უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინკლუზიურობასა და თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე **რჩევა:**სასურველია, კურიკულუმში განისაზღვროს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების კონკრეტული მაგალითები, ინსტრუქციები და განხორციელების პირობები, რათა მასწავლებლებს ჰქონდეთ პრაქტიკული სახელმძღვანელო სხვადასხვა დონეზე

	მოსწავლეების მხარდაჭერისთვის. საკმარისია რამდენიმე ნიმუში, რომელიც ეფექტურად წარმოჩენს განსხვავებულ სტრატეგიებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებული მუსიკის და სახვითი ხელოვნების სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშებიდან გამომდინარე, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდვიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი რესურსებიდან, აქტივობებიდან და კურიკულუმებიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, შესაბამისად წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. რაც შეეხება დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს ტიპური განვითარების მოსწავლეებთან, კათედრამ ისაუბრა თავის გამოცდილებაზე. გამოიკვეთა, რომ იცნობენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. ერთ-ერთ მაგალითად განიხილეს შემოქმედებითი ბუნების დავალების პირობის მოდიფიცირების შემთხვევა. . ***რჩევა:*** *სასურველია, კურიკულუმში დოკუმენტურად აისახოს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების იდეები, ინსტრუქციები, პირობები. საკმარისია რამდენიმე ნიმუში.* **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრა შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტად იყენებს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია

	მოამზადოს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათემატიკის კათედრა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შინაარსისა და სირთულის დავალებებს. გამოყენებული დავალებების პირობები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით კათედრა ახორციელებს დიაგნოსტიკურ წერებს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შეიმუშავებენ ინდ. გეგმებს და შესაბამისად მოდიფიცირებულ კომპლექსურ დავალებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდ.გეგმები არის წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმშიც შეიტანონ ის მრავალფეროვანი დავალება სამივე საფეხურზე, რომლებსაც ახორციელებენ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატით ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა) **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო დონეზე სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. როგორც პედაგოგმა აღნიშნა, კურიკულუმის შედგენის პროცესში გაითვალისწინა მოსწავლეთა საჭიროებები, და შედგენილი აქვს დიფერენცირებული ტიპის დავალებები. ასევე, განვლილი გამოცდილების და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავენ დავალებებს ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები. პედაგოგები იყენებენ ინდ. გეგმებს და სათანადო რესურსს მათთან მუშაობისას, მსჯელობენ შედეგებზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ სკოლას აქვს გამოცდილება. სკოლაში სამუშაო იგეგმება თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს, შესაბამის რესურსსა და თემებს, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ერთ-ერთ მაგალითად განიხილეს კონკრეტული დავალების მოდიფიცირების ნიმუში. (დაწყებითი კლასების ოქმი N 2 ,N3) **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმშიც ჩანდეს, დანართშიც იყოს გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალების ადაპტირებული/ დიფერენცირებული პირობა და შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში სამივე საფეხურზე მასწავლებლების მიერ შემუშავებული და წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისათვის. რუბრიკები მრავალფეროვანია სხვადასხვა სასწავლო და შემოქმედებითი აქტივობისთვის მორგებული. ასევე მორგებულია მოსწავლეთა კოგნიტურ უნარებსა და საჭიროებებზე. - ამასთანავე რუბრიკები შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დგინდება, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაღვრულ მიზნებთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. **რჩევა:**სასურველია შექმნათ საკითხთა კლასტერზე, ცნებაზე დამიზნებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმით გათვალისწინებული მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასების პროცესში ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ სწორი პასუხების რაოდენობაზე, არამედ ენობრივი კომპეტენციების – მოსმენის, წერის, კითხვისა და საუბრის – განვითარების დონეზე. პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან შეფასების რუბრიკებს. **რჩევა:**სასურველია, რომ თითოეულ საფეხურზე ენის გათვალისწინებით შეიქმნას ცხადი და დეტალური კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მიღწევის დონეს, რაც უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობას და შესაძლებლობას, ადეკვატურად შეაფასონ წინსვლა და საჭიროების შემთხვევაში

	განხორციელდეს სწავლის დიფერენცირება. სასურველია კრიტერიუმები დაეფუძნოს კონკრეტულ უნარებს და შეესაბამებოდეს საგნის მიზნებსა და მასალას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სახვით ხელოვნებასა და მუსიაკში სკოლის მიერ მოწოდებული დაწყებითი, საბაზო საფეხურის კურიკულუმის და საშუალო საფეხურის პროექტების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი, თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	მოსწავლეების შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. ჩანს, რომ მასწავლებლები ცდილობენ, დანერგონ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი სტრატეგიები(თვითშეფასება, ურთიერთშეფასება...). მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგებმა გასაუბრებისას საკმაოდ დეტალურად ისაუბრეს შეფასების პრინციპებზე, წარმოდგენილი რუბრიკები გარკვეულწილად ზოგადია, მორგებულია თითქმის ყველა ტიპის დავალებას და არა კონკრეტულს. უნდა აღინიშნოს, რომ კათედრას აქვს მზაობა და მოტივაცია, დახვეწოს თავისი პრაქტიკა, რათა შეიმუშავოს შეფასების რუბრიკები ისეთი ფორმითა და შინაარსით, რომ უფრო მკაფიოდ წარმოჩინდეს საგნობრივ სტანდარტთან კავშირი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	მოსწავლეთა პიროვნული და აკადემიური უნარების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებ შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას, რომელიც

	შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ესგ-ით შემოთავაზებული I მოდელით. შეფასების ზოგადი პრინციპები გაწერილი აქვს სსგ-ში. კათედრის მიერ დამატებითთ მოთხოვნილ დოკუმენტაციაში მტკიცებულების სახით წარმოდგენილია: კონკრეტულიი კომპლექსური დავალების შესაბამისად შედგენილი გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. აღინიშნა, რომ სისტემატიურად იყენებენ ზეპირ განმავითარებელ შეფასებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილი დოკუმენტაციაც ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ როგორც გრძელვადიან მიზნებზე შუალედური მიზნების საშუალებით, ასევე მოსწავლეთა პროგრესზე. გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სკოლის წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ადასტურებენ გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობას. აგრეთვე პედაგოგმა აღნიშნა, რომ განმავითარებელი შეფასების პროცესში იყენებს, მრავალფერივან აქტივობებს, როგორიცაა: პროდუქტის შექმნა, პრეზენტაცია, დისკუსია, და ა.შ. ასეთი აქტივობების შემდეგ განხორციელებული უკუკავშირი, მოსწავლეებს აძლევს იმის შესაძლებლობას, უკეთ დაინახოს მიზნის მისაღწევად გასავლელი გზა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გადმოგზავნილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად შეფასებას ექვემდებარება მოსწავლის კონკრეტული აქტივობა/დავალება, ასევე პროდუქტი, არის შეფასების ზოგადი პრინციპებით გაწერილი. გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, როგორ გამოიყენონ რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებთან მოსწავლის შეფასებისთვის. დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებშიც მტკიცებულების სახით წარმოადგინეს ქართული ენის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების კურიკულუმების მიხედვით შექმნილი შემოქმედებითი ბუნების დავალებების ნიმუშები შესაბამისი კრიტერიუმებით შეფასებული. **რჩევა :** სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ესთეტიკური აღზრდა

საგნობრივი კურიკულუმები

მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ამსახველი მასალა

განმსაზრვრელი და განმავიტარებელი შეფასების რუბრიკები

დამატებითი საეტაპო აქტივობები

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

- კურიკულუმი 1-6; 7-9; 10-12 კლასები ფოზიკური აღზრდა და სპორტი;
- კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი (სახელმწიფო ენა);
- შეფასების რუბრიკები(სახელმწიფო ენა);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები(სახელმწიფო ენა);
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;

უცხოური ენები:

- დაწყებითი ,საბაზო ვდა საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები(ინგლისური,რუსული)
- გერმანული ენის საგნობრივი კურიკულუმი(არჩევითი საგანი საშუალო საფეხურზე)
- უცხოური ენების კათედრის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა
- სასკოლო-სასწავლო გეგმა 2024-2025
- კომპლექსური დავალებებები(ინგლისური ენა,რუსული ენა)შუალედური სასწავლო მიზანი,შემოქმედებითი პროდუქტის ანალიზები,რეფლექსიები
- განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხური
- უცხო ენის კათედრის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

- კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნის მიღწევის გზების ამსახველი დოკუმენტები 2024–2025 სასწავლო წელი (გაკვეთილის გეგმა)
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი №1.(საგანმანათლებლო პროცესების განხილვა და ვალიდაცია, სასკოლო_კურიკულუმის შემუშავება და შეფასების რუბრიკების შედგენა, კათედრის სამოქმედო გეგმა 2024–2025 წლებისთვის)
- უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი №2.(რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით; სსსმ და მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და რესურსების განხილვა; კათედრის წევრთა პროფესიული განვითარებისა და სწავლებაში ჩართულობის დაგეგმვა; წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობებისა და ღონისძიებების დაგეგმვა)
- კომპლექსური დავალება,შუალედური სასწავლო მიზანი კურიკულუმის შესრულების ანგარიში
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები სამივე საფეხურის ყველა კლასი (ინგლისური ენა,რუსული ენა)
- უცხოური ენების კათედრის პირველი სემესტრის ანგარიში 2024-2025სასწ.წელი
- ურთიერთდასწრების ფორმები,ღია გაკვეთილის გეგმა,რეფლექსია
- დიფერენცირებული მიდგომების ნიმუშები(გახორციელებული აქტივობების ინგლისური ენა,რუსული ენა,გერმანული ენა)
- კურიკულუმის შეფასების რუბრიკა (7-,5 კლასი ინგლისური ენა)
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შემოქმედებითი ბარათი(სსსმ.მო0სწავლისთვის,ინგლისუირ ენა)
- სსსმ.მოსწავლისშეფასების რუბრიკა(სოლო ტაქსონომიის მიხედვით)
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- კომპლექსური დავალებებები(ინგლისური ენა,რუსული ენა)შუალედური სასწავლო მიზანი,შემოქმედებითი პროდუქტის ანალიზები,რეფლექსიები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების სამივე საფეხურზე სწავლა-სწავლება დაგეგმილია ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასწავლებლებთან ინტერვიუების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით, ასევე მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქტებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი სრულიად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს - დაფარულია სავალდებულო თემები, ყველა სამიზნე ცნებით, მოსწავლეები ამისათვის იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს და გადიან მაღალ სააზროვნო უნარებზე, დიფერენცირებული, ინკლუზიური საჭიროებების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმი დაგეგმილია თემატურად, გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საკითხთა კლასტერები, , ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის იძლევა ცოდნათა ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა რომ ისინი ითავლისწინებენ წინარე გამოცდილებას და მოწავლეთა საწიროების მიხევით შექმნილი კურიკულუმებით წარმარტავენ სასწავლო პროცესს.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების(ინგლისური,რუსული,გერმანული) სწავლების პროცესი დაგეგმილია და სრულად შესაბამისობაში სკოლის კურიკულუმის მოთხოვნებთან და ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან. ყველა საფეხურზე გათვალისწინებულია კონკრეტული მიზნები, თემები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ენობრივი და კომუნიკაციური კომპეტენციების სისტემატურ განვითარებას. დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა საჭიროებებსა და ასაკობრივ თავისებურებებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხსა და მიზანმიმართულობას.

	რჩევა:. სასურველია ყველა საფეხურზე აქტიურად გამოიყენოთ დიფერენცირებული და ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლის მიზნების ეფექტურ მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში სკოლის მიერ მოწოდებული დაწყებითი, საბაზო საფეხურის კურიკულუმებით და საშუალო საფეხურის პროექტებით გაწერილი მიმდინარე წელს უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი, აქცენტი კეთდება როგორც სტანდარტით განსაზღვრულ სავალდებულო თემებზე, ქვესაკითხებსა და საკითხებზე, ასევე დამატებით, კლასგარეშე რესურსებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია რამდენიმე ისეთი დავალება, რომელიც მოითხოვს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. ირკვევა, რომ მასწავლებლებს აქვთ ამ ტიპის დავალებების განხორციელების გამოცდილება. განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები და საჭირო რესურსები. ***რჩევა:*** *სასურველია, კურიკულუმში უფრო მეტი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე ორიენტირებული დავალება და საგნობრივი პროექტის იდეა იყოს წარმოდგენილი.* **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით: განხორციელებილი დავალებები , რეფლექსიები, გაკვეთილები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.მათემატიკის კურიკულუმში თემები და საკითხები გაწერილია თანმიმდევრულად, თანდათან ღრმავდება და აძლევს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების საშუალებას. ყველა კლასის მათემატიკის

	კურიკულუმი იწყება წინა კლასში ნასწავლი მასალის განმეორებით, რაც წინარე ცოდნის გააქტიურებას უწყობს ხელს. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი განსახორციელებელი შუალედური დავალებების ეტაპებიც გაწერილია ისე, რომ მოიცავს წინარე ცოდნის გააქტიურებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აჩვენეს მზაობა სწავლების კონტრუქტივისტული მოდელით წარმართვის შესახებ.დავალებების კითხვები ისეა ფორმირებული, რომ მოიცავს არსებითად თეორიული რიგის ცოდნას, იქნება ეს ფაქტები, ტერმინები, წესები, კანონები, განმარტებები, თეორიები, პრინციპები, ფორმულები და სხვა (დეკლარატიული ცოდნა). კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება ასევე მოითხოვს გარკვეული პროცედურების შესრულებას, არითმეტიკული ოპერაციების განხორციელებას (პირობისეული ცოდნა), კურიკულუმებში ასახული კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, რაც იძლევა საშუალებას მოსწავლემ გაიაზროს რა სიტუაციაში უნდა გამოყენოს ესა-თუ ის ცოდნა (ფუნქციური ცოდნა).**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სამივე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები,

	სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთან ინტერვიუ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმს კათედრა მოიაზრებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან გზად, რამდენადაც მასში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. გამოგზავნილი, მოსწავლის შესრულებული ნამუშევრების ნიმუშები ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებას. კურიკულუმებში თემების ჩამონათვალი ფარავს დაწყებითი კლასების საგნების (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებულ სასკოლო მასალას. **რჩევა:** სასურველია, ზემოთ ჩამოთვლილ საგნებში შეიქმნას მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალება, რადგან ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა არის პროდუქტიული და ხელს უწყობს სამივე კატეგორიის ცოდნის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა სასწავლო პროცესის ხარისხიანად და ეფექტიანად წარმართვის მიზნით მუდამ მზად არის სასკოლო საზოგადოებასთან დიალოგისთვის. პროცესების თანმიმდევრულად მიყოლა და მონიტორინგი

იძლევა საშუალებას, დროულად იქნას იდენტიფიცირებული სხვადასხვა საჭიროება მასწავლებლის, აღმზრდელის, მოსწავლის, თვითმართველობის, თუ ნებისმიერი სასკოლო პერსონალის მხრიდან. ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა, რომ საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში სკოლის თითოეულ რგოლს აქვს მზაობა საჭიროების მიზეზის დადგენისა და მის აღმოფხვრაზე ზრუნვის. სკოლისთვის ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული თუ ზეპირსიტყვიერი შეტყობინება/ანგარიში. მოქნილად რეაგირებისთვის დირექცია დელეგირებას ახდენს შესაბამისი რგოლის ხელმძღვანელზე და მონიტორინგს უწევს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. მხარდაჭერისთვის სკოლა იყენებს როგორც ადგილობრივ რესურსს, ასევე მოიძიებს დამატებით რესურსს. სკოლის „სამოქალაქო კლუბი“ ერთ-ერთი ნათელი მაგალითია, თუ როგორ ხდება სასკოლო საჭიროებებზე ზრუნვა - კლუბი მონაწილეობს სხვადასხვა პროექტში და გამარჯვების შემთხვევაში მიღებულ ჯილდოს სასკოლო ინტერესებს მოახმარს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების ყველა საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზით, კათედრის ოქმების, შეფასების რუბრიკების და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება, ასევე სადიაგნოსტიკო წერები, რომლებსაც სკოლა ატარებს სისტემატიურად ადასტურებს რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭირვალე, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი, რომელთა შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში არის რამდენიმე შეფასების რუბრიკა.

	მოსწავლებისათვის ცნობილა თუ რა კრიტერიუმით ხდება მათი შეფასება.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმენტაციებზე დაყრდნობით უცხოური ენების სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. პედაგოგები აქტიურად არიან ჩართული რუბრიკების შემუშავების პორცესში და კათედრაზე სისტემატურად ხორციელდება შეფასების რუბრიკების განხილვა, გადახედვა და სრულყოფა. ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ შეფასების სტანდარტების თანმიმდევრულად და სწორად გამოყენების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული პროცესი ზრდის შეფასების ერთიანობას სხვადასხვა საფეხურსა და პარალელ კლასებს შორის, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების ობიექტურ და სამართლიან წარმოჩენას. მოსწავლეებს ეცნობებათ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალე და მოტივაციაზე ორიენტირებულ შეფასებით გარემოს.დოკუმენტაციაში წარმდგენილი აქვთ მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები. **რჩევა**:შეფასების კრიტერიუმების უფრო მრავალფეროვანი და საგნობრივად(ინგლისური ენა,რუსული ენა,გერმანული ენა) შესაბამისი აღწერა სასურველია კრიტერიუმები დაეფუძნოს კონკრეტულ უნარებს და შეესაბამებოდეს საგნის მიზნებსა და მასალას.ასევე სასურველია შემაჯამებელი დავალებები იყოს მრავალფეროვანი და ღია ტიპის, არა მხოლოდ ტესტური ან დახურული.მორგებული ტექსტსა და თემაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სახვით ხელოვნებასა და მუსიაკში სკოლის მიერ მოწოდებული დაწყებითი, საბაზო საფეხურის კურიკულუმების და საშუალო საფეხურის პროექტების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), ასევე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტში

	აღნიშნულია, რომ კათედრის ხელმძღვანელი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას, უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის ვერიფიკაციას. აქედან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კათედრა აცნობიერებს შეფასების სისტემის ვალიდურობისა და სამათლიანობის მნიშვნელობას. მოსწავლეებმა იციან, რომელ საკითხში რა კრიტერიუმებით ფასდებიან, რა მოეთხოვებათ თემის ფარგლებში, რაც ადასტურებს შეფასების გამჭვირვალობას. გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ ეფექტიან ზეპირ განმავითარებელ კომენტარს. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში კრიტერიმები მარტივად აღსაქმელი ენითაა ჩამოყალიბებული, მაგრამ მეტნაკლებად ზოგადი შინაარსისაა. ირკვევა, რომ კათედრა მუშაობს შეფასების რუბრიკების დახვეწის მიმართულებით. ***რჩევა:*** *შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის მასწავლებლები უნდა დაეყრდნონ სწორედ იმ დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვთ წარმოდგენილი ან მომავალში შეიტანენ. ვურჩევთ სკოლას, უზრუნველყოს პროფესიული მხარდაჭერა(ტრენინგი, საკონსულტაციო შეხვედრა) კათედრისთვის.* **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრაზე მოსწავლის შეფასებასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანიობის უზრუნველყოფის მიზნით წინასწარ შეიმუშავებს როგორც ზოგად, ასევე ცალკეული თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს, რომლის შემუშავებაში მეტნაკლებად ჩართულია მოსწავლეებიც. კათედრამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა. შეფასების რუბრიკებში ჩაშლილი

	კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს, უნარებს, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზანზე. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის და მშობლებისთვის ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან, თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით, რაც ადასტურებს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას. მასწავლებლებმა ისაუბრეს მიზანზე ორიენტირებული ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების შექმნის გამოცდილებაზე. დეტალურად ჩაშლილი კრიტერიუმები და თითოეული მათგანის შესაბამისი ქულის დაკონკრეტება შეფასების რუბრიკებს ხდის სანდოს და ობიექტურს. სკოლაში დამტკიცებული ვერიფიკაციის დოკუმენტი განამტკიცებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. **რჩევა:** სასურველია გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება განასკუთრებით კარგად გამოიკვეთოს მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებიდან, იქნება ეს მასწავლებლის შეფასება, თანატოლთა შეფასება თუ თვითშეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ მომავალი შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი განმავითარებელი და განმსაზვრელი შეფასების რუბრიკების გამოყენება ხდება სასწავლო პროცესში, გასაუბრების და მასალების აღწერის მიხედვით შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს, შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის მასწავლებლები, წესისამებრ, აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს. მოსწავლეებმა იციან, რისი შეფასება აქვს მასწავლებელს განსაზღვრული. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნების შეფასების მიზნით. **რჩევა:** სასურველია, ყველა შემოქმედბით დავალებას შეფასების სქემა თან ერთვოდეს, რათა მომავალში მოსწავლეებს უკეთ მიეცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლემ კი მოახერხოს თვითშეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლის მიღწევების შეფასების წესი. სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობა; სანდოობას; გამჭვირვალობა; სამართლიანობა; ობიექტურობა. დოკუმენტით ასევე გათვალისწინებულია, რომ ვერიფიკაციის პროცესებს ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი - დირექტორის მოადგილე, კათედრის ხელმძღვანელი. ინტერვიუირების დროს ვერიფიკაციის პროცესი მოკლედ ამგვარად დაახასიათეს: სამუშაო გეგმის შექმნა, რისკების განსაზღვრა, ვერიფიკაციის განხორციელება, შედეგების ანალიზი (ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური) და უკუკავშირი (პრობლემების აღმოფხვრის გზების შემუშავება). ინტერვიუირების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს, ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს სწორად ესმით ვერიფიკაციის არსი - მიღებული შედეგების გამოყენება სკოლაში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობენ კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობითი მუშაობის შედეგად თავმოყრილი შეფასების ინსტრუმენტები იყოს რელევანტური და სწავლის შედეგების შეფასების საშუალებას იძლეოდეს ყველა კრიტერიუმის მიხედვით (კომპლექსური დავალებები, სადიაგნოსტიკო წერები და ა.შ.). ასევე ცდილობენ,

შეფასების პროცესი გამჭვირვალედ და სამართლიანად მიმდინარეობდეს (შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ, შეფასებისას ყველას ერთნაირ პირობებში აყენებენ და ა.შ.). ინტერვიუირების დროს ცალკე საკითხად იქნა განხილული რისკების სისტემა და მასწავლებლებმა კონკრეტული მაგალითები მოიყვანეს რამდენიმე რისკ-ფაქტორის მათი მხრიდან მართვის თაობაზე: დამწყები მასწავლებლის ფაქტორი; მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით); მთავარ სამსჯელო საკითხად იქცა შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობის შემოწმება ისეთ საგნებში, სადაც 1 წარმომადგენელი ჰყავთ. მაგალითად, ქიმიის მასწავლებელი. აღმოჩნდა, რომ ასეთ დროს რაიონის სკოლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთმანეთს ეხმარებიან, რჩევებს აძლევენ, საერთო საგნობრივი სოც. მედია ჯგუფებიც აქვთ შექმნილი.

5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის კათედრებთან ინტერვიუირებით გადამოწმდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

ინდიკატორი სეესაბბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
შეფასების ვერიფიკაციის წესი;

- ვერიფიკაციის მექანიზმი
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასება
- განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები

ესთეტიკური აღზრდა
საგნობრივი კურიკულუმი
სკოლის ვერიფიკაციის მექნაიზმის დოკუმენტი
მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალა

განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

განმავითარებელი შეფასება მე-4 კლასი;

შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;

სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;

შეფასების ვერიფიკაციის წესი;

შეფასების რუბრიკები (სახელმწიფო ენა)

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

კურიკულუმი 1-6; 7-9; 10-12 კლასები ფოზიკური აღზრდა და სპორტი;
კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;
კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;

უცხოური ენები:

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, რუსული)
გერმანული ენის საგნობრივი კურიკულუმი (არჩევითი საგანი საშუალო საფეხურზე)
უცხოური ენების კათედრის სამოქმედო გეგმები (2023–2024 და 2024–2025 წწ.)
გაკვეთილების გეგმები (შუალედური მიზნების მიღწევის ამსახველი დოკუმენტები)
კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების ანალიზები
პროექტული სწავლების დოკუმენტაცია
ურთიერთდასწრების ფორმები, ღია გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია
უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი №1.(საგანმანათლებლო პროცესების განხილვა და ვალიდაცია, სასკოლო_კურიკულუმის შემუშავება და შეფასების რუბრიკების შედგენა

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)
შემაჯამებელი დავალების ანალიზები (სამივე საფეხურის ყველა კლასის მიხედვით)
კომპლექსური დავალებები, რეფლექსიები, შუალედური მიზნების ანალიზი
კურიკულუმის შეფასების რუბრიკა (5–7 კლასი, ინგლისური ენა)
სსსმ შეფასების რუბრიკა (სოლო ტაქსონომიის მიხედვით)
შემოქმედებითი ბარათი (სსსმ მოსწავლისთვის)
პირველი სემესტრის ანგარიში 2024-2025სასწ.წელი
ურთიერთდასწრების ფორმები და უკუკავშირის რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ყველა საფეხურზე, ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს პარალელურად მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან სასწავლო და დამხმარე რესურსებს, როგორიცაა სკოლაში არსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ვირტუალური ლაბორატორიები, სხვადასხვა ვიდეო რესურსები, მოსწავლეების და მასწავლებლების მიერ საკუთარი ხელით შექმნილი სასწავლო რესურსები. - სკოლაში წარმოდგენილი რესურსების მრავალფეროვანია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების სურვილების გათვალისწინებით იყენებენ ყველა დამხმარე

	რესურს რაც მიცემს მათ საშუალებას აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმში ძირითადი სასწავლო რესურსს წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელო, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო მიზნებსა და სტანდარტებს. დამატებით, დამხმარე რესურსებად გამოიყენება სხვადასხვა ინტერაქტიული მასალები და მატერიალური რესურსები, რომლებიც ამდიდრებენ სასწავლო პროცესს და უწყობენ ხელს მოსწავლეთა ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას. რესურსების მრავალფეროვნება ხელს უწყობს სწავლების დინამიკურობას და მოსწავლის აქტიურ ჩართულობას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ შექმნილ დამატებით აქტივობებს, ტელესკოლის ვიდეო რესურსებს და შემოქმედებით დავალებებს რომელსაც დიფერენცირებულად არგებენ სხვადასხვა კლასებს, ეს ასევე დასტურდება სახვით ხელოვნებასა და მუსიაკში სკოლის მიერ მოწოდებული დაწყებითი, საბაზო საფეხურის კურიკულუმებით და საშუალო საფეხურის პროექტებით გაწერილი მიმდინარე წელს უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების, პროექტების ნიმუშებიდან და დამატებიტი აქტივობებიდან, აქედან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მონიშნულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული

	და მატერიალური რესური, რომელიც უკავშირდება დასამუშავებელ საკითხს, გრძელვადიან მიზანს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი კურიკულუმი სწავლების პარალელურად შეივსება, შეიცვლება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და განვითარდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ დიფერენცირებული მიდგომების ხელშესაწყობად სკოლაში ძირითად გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად გამოყენებულია დამხმარე რესურსი (მატერიალური და ელექტრონული, რაც შეთანხმებული და დამტკიცებულია კათედრებზე). მასში ასევე საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის რესურსები, რომელებიც მორგებულია მათ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე. კურიკულუმში გაწერილი რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის და აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,ინტერესები,საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო,ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები,რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს,მიზანს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. სკოლაში ხორციელდება საგანთაშორისი ინტეგრაცია, ერთობლივი პროექტები, რომელშიც ასევე მრავალფეროვანი რესურსებია გამოყენებული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმები, სპექტაკლების ჩანაწერები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება კათედრის სხდომასა და პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაში გამოყენებული მრავალფეროვანი რესურსები ვალიდურია სასწავლო მიზნებთან, - რესურსები წარმოდგენილია მაღალკვალიფიციური წყაროებიდან, ამასთანავე საგნობრივ კათედრაზე მასწავლებელთა შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, სემესტრის ბოლოს მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პროდუქტები და სადიაგნოსტიკო წერის შედეგები კარგად ზომავს დამხმარე რესურსების ვალიდურობას. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის კურიკულუმებიდან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დასტურდება, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგები აქტიურად თანმაშრომლობენ და არჩევენ სტანდარტების დაცვით, მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ სასწავლო რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობასა და სწავლების თანამედროვე სტანდარტების დაცვას. უცხოური ენების კათედრაზე დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია განხორციელდა აქტიური თანამშრომლობით საგანმანათლებლო კათედრის წევრებს შორის. რესურსები ცალ-ცალკე განისაზღვრა თითოეული ენის — ინგლისური, რუსული და გერმანული — სასწავლო საჭიროებების შესაბამისად. ეს პროცესი უზრუნველყოფს თითოეული საგნისთვის მაღალ ხარისხს, შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან და მოსწავლეთა მრავალფეროვან საჭიროებებზე მორგებას. **რჩევა:**სასურველია, სკოლამ რეგულარულად გაატაროს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხობრივი შემოწმება და დადასტურებული რესურსები გამოიყენოს სწავლის პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში და საშუალო საფეხურის პროექტებში წარმოდგენილი და სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი აქტივობები, შემოქმედებითი დავალებები განხილულია და შესწავლილია კათედრის მიერ და აღნიშნული რესურსები ძირითადად შერჩეულია სამინისტროს რესურსებიდან და ტელესკოლის ვიდეო გაკვეთილებიდან, აქედან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებისთვის შერჩეული დამხმარე რესურსები შესწავლილია კათედრის წევრების მიერ, მათი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა კვალიფიციური წყაროდან: საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, პროფესიული ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

მათემატიკა	სკოლას აქვს პრაქტიკა: კათედრის სხდომაზე განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო რესურსებს: ძირითად გრიფირებულ, დამხმარე სახელმძღვანელოს, გეოგებრას, ტელესკოლის, სილქნეტის სკოლის თუ სხვა ვიდეო და ელ.რესურსს. **რჩევა:** სასურველია კათედრამ შეიმუშაოს სასწავლო რესურსების შერჩევის წესი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ასაკობრივი თავისებურება, შინაარსობრივი გამართულობა, ინოვაციურობა, მიზანთან შესაბამისობა ... **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადგან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, ახალი დამხმარე რესურსებისათვის სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს ვალიდაცია შესაბამისი წესით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლები შედეგის მიღწევა სკოლის მხრიდან უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, - საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაში მასწავლებლები ხშირად იყენებენ ტექნოლოგიებს- კომპიუტერებსა და მონიტორებს, ტარდება ექსპერიმენტებიც. - ყველა მოსწავლე ჩართულია პრქატიკულ სწავლა-სწავლებაში. რესურსების მრავალფეროვნება და მასწავლებლების მხრიდან მზაობა ადასტურებს რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ საკითხთა კლასტერები, რომლებზეც განახორციელებენ შემოქმედებით დავალებს. . როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს შემოქმედებითი დავალების განხორციელების დროს იყენებენ ყველა იმ რესურს რაც არის სკოლაში.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც არჩევით და ადგილობრივი პირობების შესაბამისად მორგებულია მოსწავლეთა რაოდენობაზე.

	მასწავლებლების მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები, მათ შორის არაფორმალური განათლების ელემენტები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ენობრივი უნარების, კომუნიკაციური კომპეტენციებისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. კურიკულუმში შეტანილი თემები ასახავს სხვადასხვა ენობრივ და კულტურულ კონტექსტებს, რაც ხელშემწყობია მოსწავლეთა ზოგადი ინტელექტუალური და ემოციური ზრდისთვის.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნი,შნეს რომ სკოლა მათ უზრუნველყოფს ყველა საჭირო მატერიალური რესურსით. ეს დასტურდება სახვით ხელოვნებასა და მუსიაკში სკოლის მიერ მოწოდებული დაწყებითი, საბაზო საფეხურის კურიკულუმებით და საშუალო საფეხურის პროექტებით გაწერილი მიმდინარე წელს უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებით, აქედან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მაგალითად, ყველა მოსწავლეს შეუძლია ისარგებლოს კომპიუტერული კაბინეტით სასწავლო მიზნების განსახორციელებლად. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და სამკითხველო ოთახი, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. სკოლაშია წახალისებულია არაფორმალური ღონისძიებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
მათემატიკა	როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული, ინტერვიუზეც დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფილია იმ მატერიალური რესურსით, რომელიც სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეებს საფეხურზე. სკოლას აქვს მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი რესურსით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი. მოსწავლეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სკოლაში არსებული რესურსით, სათანადო

	ადგილებში გამოკრული გრაფიკის შესაბამისად . **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
სპორტი	მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები, მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა რაოდენობაზე უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია არის კარგ მდგომარეობაში, სკოლაში არის ლეპტოპები და პროექტორები, აგრეთვე უზრუნველყოფილია კლასებიც. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. აგრეთვე მოსწავლეები სარგებლობენ საკუთარი ბუკებით.პედაგოგი იყენებს მრავალფეროვან რესურსებს, არაფორმალურ აქტივობებს და ა.შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს შესაბამისი ფართი, სასკოლო ინვენტარი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად. პედაგოგები უზრუნველყოფილნი არიან საგაკვეთილო პროცესისათვის საჭირო ტექნიკითა და საგნებით. სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. (აღნიშნულია თვითშეფასებაში, დადასტურდა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს) სკოლას

	აქვს ბიბლიოთეკა და სამკითხველო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის ხარისხიანად განხორციელებას: სულ 41 თანამშრომელი, 31 პედაგოგი, 12 წამყვანი, 1 მენტორი აღნიშნული დასტურდება პირადი საქმეებით, შესაბამისი სერტიფიკატებითა და დიპლომებით. ასევე თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ხელშეკრულება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

პედაგოგთა პირადი საქმეები

თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები

ესთეტიკური აღზრდა
სასკოლო კურიკულუმი
მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალა
განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი დამატებითი აქტივობები და შემოქმდებითი დავალებები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპიუტერული ლაბორატორიის ამსახველი მასალა.

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

კურიკულუმი 2-6 კლასები-კომპიუტერული ტექნოლოგიები;

განხორციელებული პროექტების ბმულები;

ფიზიკური აღზრდა და სპორტი:

კურიკულუმი 1-6; 7-9; 10-12 კლასები ფიზიკური აღზრდა და სპორტი;
კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;
კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
კათედრის ოქმი
კათედრის ანგარიში
სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;

უცხოური ენები:

უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი №1.(საგანმანათლებლო პროცესების განხილვა და ვალიდაცია, სასკოლო_კურიკულუმის შემუშავება და შეფასების რუბრიკების შედგენა)
კათედრის სამოქმედო გეგმა 2024–2025 წლებისთვის
უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი №2.(რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით; სსსმ და მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და რესურსების განხილვა; კათედრის წევრთა პროფესიული განვითარებისა და სწავლებაში ჩართულობის დაგეგმვა; წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობებისა და ღონისძიებების დაგეგმვა)
უცხოური ენების კათედრის სხდომის ოქმი№3.დიაგნოსტიკური წერების დაგეგმვა,
კომპლექსური დავალება,შუალედური სასწავლო მიზანი კურიკულუმის შესრულების ანგარიში
შემაჯამებელი დავალების ანალიზები სამივე საფეხურის ყველა კლასი (ინგლისური ენა,რუსული ენა)
უცხოური ენების კათედრის პირველი სემესტრის ანგარიში 2024-2025სასწ.წელი
ურთიერთდასწრების ფორმები,ღია გაკვეთილის გეგმა,რეფლექსია
დიფერენცირებული მიდგომების ნიმუშები(გახორციელებული აქტივობების ინგლისური ენა,რუსული ენა,გერმანული ენა)
დამხმარე რესუსრების ჩამონათვალი
სასკოლო-სასწავლო გეგმა 2024-2025
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
პროექტული სწავლების განხორციელების დოკუმენტაცია
კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნის მიღწევის გზების ამსახველი დოკუმენტები 2024–2025 სასწავლო წელი

კომპლექსური დავალებებები(ინგლისური ენა,რუსული ენა)შუალედური სასწავლო მიზანი,შემოქმედებითი პროდუქტის ანალიზები,რეფლექსიები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლაში შემუშავებული აქვთ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის დაგეგმვის, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგის, შეფასების და რევიზიის ეტაპები.კურიკულუმის დანერგვის პროცესი სამ დონეზე აღიწერება: მოსწავლის დონე, მასწავლებლის, და სკოლის დონეზე. თითოეულ დონეზე მიმდინარე პროცესებს მასწავლებლები აღწერენ წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტების მიხედვით. მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა.

ინტერვიუირების დროს მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გადამოწმდა, რამდენად ხორციელდება აღნიშნული პროცესები დოკუმენტში გაწერილი ნაბიჯების მიხედვით.

გაირკვა, რომ პედაგოგები მთელი წლის მანძილზე აანალიზებენ მიღებულ შედეგებს (კომპლექსური დავალებები,, შემაჯამებელი დავალებები, სადიაგნოსტიკო წერები და ა.შ.) და საჭიროების შემთხვევაში (კლასის/მოსწავლის ინტერესებისა თუ შესაძლებლობების გათვალისწინებით) ცვლილება შეაქვთ დოკუმენტში.

უმნიშვნელოვანესია სკოლის დირექციის ფუნქცია, რომ უხელმძღვანელოს სასწავლო პროცესის ხარისხს და გაამთლიანოს კათედრების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, უზრუნველყოს სკოლაში სამუშაო შეხვედრების გამართვა, სადაც განიხილება სასწავლო პროცესების მიმდინარეობა. შეიმუშაოს რეკომენდაციები სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად და ინოვაციების დასანერგად.

ინდიკატორი 2.3.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ახდენს ეროვნული სასწავლო გეგმასთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად (სადიაგნოსტიკო წერები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი დავალებები და ა.შ.).

ასევე სკოლა პედაგოგთა საჭიროებების იდენტიფიცირებას ახდენს და ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაზე.

სასკოლო საზოგადოებისთვის მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზა არის, რასაც ადასტურებს სკოლაში არსებული კეთილგანწყობილი ატმოსფერო. მათთვის ურთიერთდასწრებების სისტემა პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი საშუალებაა - კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ ურთიერთდასწრებით ერთმანეთისგან პრობლემური სიტუაციების მართვას სწავლობენ, ასევე სიახლეების დანერგვის გზაზე ერთმანეთს ეხმარებიან, რომ

წინასწარშემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით ერთმანეთს დააკვირდნენ, ობიექტურად შეაფასონ და ხელი შეუწყონ ერთმანეთის პროფესიულ ზრდას.

ინდიკატორი 2.3.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლას ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ჰყავს, რომელიც მონიტორინგითა და კრიტიკული/ობიექტური უკუკავშირებით მთელი სასწავლო წლის მანძილზე ზრუნავს სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (ურთიერთდასწრებები, გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები, საგნობრივი კათედრების ოქმები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში, კათედრის ხელმძღვანელთა ანგარიშები) ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე.

ინდიკატორი 2.3.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში
- ურთიერთდასწრების ანგარიში

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სასწავლო პროცესის შეფასებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი - მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, კათედრა, დირექცია. ამასთან, სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით (კითხვარი, სადიაგნოსტიკო წერა,

კომპლექსური დავალება და ა.შ.) შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე წარიმართება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი.

ახალი კურიკულუმის შემაუშავება ხდება მიმდინარე წლის კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასება/რევიზიის საფუძველზე.

ინდიკატორი 2.3.2. 1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებითა და არაფორმალური აქტივობებით განსაზღვრავს, რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და შემდგომში გეგმავს შესაბამის ინტერვენციებს. შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა შეფასებას ახდენს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად, მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით - მოსწავლის ფსიქო - სოციალური მდგომარეობა, გარემო კლიმატი, თანატოლებთან ურთიერთობა, პროგრესი, რეგრესი.

ინდიკატორი 2.3.2. 2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლა, მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, იყენებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ასევე სადიაგნოსტიკო წერებს. შედეგად, სკოლა ადგენს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მასწავლებლებმა საუბარში აღნიშნეს, რომ მონაცემთა შეგროვების მიზნით, სისტემატიურად ხდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, ურთიერთდასწრება და კრიტიკული-ობიექტური უკუკავშირის მიცემა. ასევე მიმდინარეობს მოსწავლეთა, მშობელთა უკუკავშირის განხილვა, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობებისა და მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების, კომპლექსური დავალებების და სხვა.) ანალიზი. ინტერვიუირების დროს პედაგოგებმა ახსენეს, საჭიროების შემთხვევაში, ფოკუს-ჯგუფის შეკრებაც.

ინდიკატორი 2.3.2.3.. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. შესაბამისად, სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, კერძოდ, რამდენად ემყარება სწავლა-სწავლების პროცესი

კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს, რამდენად პოზიტიური გარემოა შექმნილი საკლასო ოთახში - მოსწავლის საჭიროებები რამდენადაა გააზრებული მასლოუს „მოთხოვნილებათა პირამიდის“ მიხედვით (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური, პატივისცემის მოთხოვნილებები), რამდენად მკაფიოა და ცხადი კომპლექსური დავალების პირობა, რამდენად ადაპტირებულია სასწავლო რესურსები, რამდენად უწყობდა ხელს სხვადასხვა აქტივობები ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას; რამდენად მონაწილეობენ მასწავლებელები კურიკულუმის განვითარებაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობითა და შედეგების ანალიზით, რამდენად მონაწილეობენ სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებასა და მონაცემთა კვლევაში, რომელიც დაადგენს, რამდენად აღწევს სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, რამდენად უწყობს ხელს სკოლის დირექცია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე დაფუძნებული კურიკულუმის განხორციელებას, ხარვეზების დადგენასა და მათ დაძლევას. საგნობრივი ექსპერტების მხრიდან წარმართულმა გასაუბრებებმა ცხადყო, რომ სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინები. სწავლა-სწავლების პროცესი ემყარება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, სკოლასა და საკლასო ოთახში პოზიტიური გარემოა და სკოლის დირექცია ხელს უწყობს კურიკულუმის განხორციელებას, ხარვეზების დადგენასა და მათ აღმოფხვრას.

ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი უკუკავშირი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის პედაგოგები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ყურადღებას ამახვილებენ კურიკულუმის ყველა საკვანძო ელემენტზე, გზადაგზა აფასებენ, საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილება დოკუმენტში და შედეგად, წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით, იქმნება ახალი კურიკულუმი.

მნიშვნელოვანია, რომ ახალი კურიკულუმის შექმნაში საკუთარი უკუკავშირებითა და რეკომენდაციებით მონაწილეობენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.

მთელი სასწავლო წლის პროცესში კათედრების მიხედვით დაგეგმილი ურთიერთდასწრებები და გაცემული უკუკავშირები ფაქტიურად სარეკომენდაციო პაკეტს წარმოადგენს, რომელსაც პედაგოგები იყენებენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, ხოლო მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შედგენისას საგნობრივი კათედრები გეგმავენ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მონიტორინგის შედეგებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით შექმნან კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

ახალი კურიკულუმის შედგენისას კი გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომლებიც მოქმედი კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა.

ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. დირექტორის 2024 წლის 21 მაისის N2-28/1 ბრძანება ,, სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
2.დირექტორის ბრძანება ჯგუფის შექმნის სესახებ
3.სკოლის ვებ გვერდი
4. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
5. სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა 2025-2031წწ;
6. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025 წ.
7.სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 26 დეკემბრის N 2-204 ბრძანება ,, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა''
8. დირექტორის მოადგილის ანგარიში
9.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
10.სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
11.სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების დებულება.
12.სკოლის სტრუქტურა.
13.შინაგანაწესი
14.პრევენციული ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა
15.ვაკანსიის გამოცხადების და კონკურსის მასალები
16.თვითშეფასების ფორმები
17.კათედრის სხდომის ოქმები
18.ინვენტარიზაციის მასალები
19.შრომით ხელშეკრულები
20.სასკოლო კურიკულუმი
21.სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელ დებულება
22.სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების პროცედურები.
23.დისციპლინური საბჭოს სხდომის ოქმები.
24.სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.
25.მშობელთა კრების ოქმები
26.მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები

27. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ;
28.შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტაცია;
29.სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება.
30.სადამრიგებლო პროგრამები;
31. მრჩეველთა საჭოს ოქმი.
32.სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი
33.საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,
34.სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
35.ხელშეკრულებები
36.სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი
37.ქალაქ ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტის უფროსის 2025 წლის 21 მარტის N2-48 ბრძანება.
38.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
39.ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
40. ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
41.საინვენტარიზაციო მასალები.
42.სკოლის საქმისწარმოების წესი;
43.სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
44. დირექტორის ანგარიში.
45.ერთიანი ელექტრონული სისტემა.
46.მშობლისთვის ინფორაციის მიწოდების წესი
47.სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
48.სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის N 2-199 ბრძანება მოსწავლისა და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები;
49.რემედიაციის წესი;
50.ტრანზიციის წესი;
51.სსიპ ქალაქ ჭიათურის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის N 2-198 ბრძანება მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
52.მშობლებტან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრების ჩანაწერები
53.თვითმმართველობის დებულება/ სამუშაო გეგმა
54.სამოქალაქო კლუბის სამმუშაო გეგმა
55.მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა თანხმობები

56.სოციალურ მედიაში სკოლის გვერდი.

57.მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხო ენის არჩევასთან დაკავშირებით

58.სადამრიგებლო პროგრამები

59.მემორანდუმები

60.ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა

61.სპეციაური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა

62.მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა

63.ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

64.ისგ ჯგუფის ოქმები

65.ტრანსპორტის ტაბელები

66.ბრძანება ექსკურსიის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანა ბედენაშვილი 

ელენე მიდელაშვილი

მინდია მაცაბერიძე

ნათია კილაძე

დავით კიკაბიძე

გიორგი ჩაჩუა

ილონა აკობია

ირმა შველიძე

ქეთევან ბორაშვილი

ნატო ხაჭაპურიძე